პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 38-ე წელი | № 207 (11211) | კვირა, 7 სექტემბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

**დ ღ ე ს  ნ ო მ ე რ შ ი ა:**

საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1958 წლის 5 სექტემბერს (1-ლი გვერდი).

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემია გადაეცა იაპონელ პროფესორს კაორუ იასუის (1-ლი გვერდი).

მივცეთ ქვეყანას მეტი მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი (1-ლი გვერდი).

2.000.000 ტონა სილოსისათვის (1-ლი გვერდი).

თბილისი 1500 წლისაა. — ა. მელაძე. — დიადი თარიღის წინ (მე-2 გვერდი).

საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში რძის წარმოება 1958 წლის 1 სექტემბრისათვის გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (მე-2 გვერდი).

ვლ. თორდუა. — მშვიდობის ლაშქარი (მე-3 გვერდი).

ნარკვევი. — მ. მიქაძე. — დედისეული ხალათი (მე-3 გვერდი).

ქ. ვეფხვაძე. — ათი დღე ლონდონში (მე-3 გვერდი).

ბ. თათარიშვილი. — მზარდი თეატრალური კოლექტივი (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო  ც ნ ო ბ ა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1958 წლის 5 სექტემბერს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI რიგგარეშე ყრილობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების განსახილველად, და მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელიც დღეს ქვეყნდება.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. ნ. ა. ბულგანინი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევის შესახებ

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1958 წლის 5 სექტემბერს

1. მოწვეულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა 1959 წლის 27 იანვარს დღის წესრიგით: „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები".

დამტკიცდეს მომხსენებლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი.

თეზისები მოხსენებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ გამოქვეყნდეს პრესაში.

2. დაწესდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე წარმომადგენლობის შემდეგი ნორმები: ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმით პარტიის 6.000 წევრზე და ერთი დელეგატი სათათბირო ხმით პარტიის წევრობის 6.000 კანდიდატზე.

3. XXI პარტიული ყრილობის დელეგატები აირჩევიან, პარტიის წესდების თანახმად, დახურული (ფარული) კენჭისყრით. რუსეთის სფსრ ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციები დელეგატებს ირჩევენ საოლქო, სამხარეო პარტიულ კონფერენციებზე. სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში პარტიის ყრილობის დელეგატების არჩევა ხდება საოლქო პარტიულ კონფერენციებზე ან მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობებზე — მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების შეხედულებისამებრ.

კომუნისტები, რომლებიც შედიან საბჭოთა არმიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი და საბადრაგო დაცვის და სასაზღვრო ნაწილების პარტიულ ორგანიზაციებში, პარტიის XXI ყრილობის დელეგატებს ირჩევენ დანარჩენ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად საოლქო, სამხარეო პარტკონფერენციებზე ან მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობებზე.

კომუნისტები, რომლებიც შედიან საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საზღვარგარეთ მყოფი ნაწილების პარტიულ ორგანიზაციებში, პარტიის XXI ყრილობის დელეგატებს ირჩევენ შესაბამისი საჯარისო შენაერთების პარტიულ კონფერენციებზე.

4. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის დელეგატების ასარჩევად და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ მოხსენების თეზისების განსახილველად მოეწყოს 1958 წლის დეკემბერში და 1959 წლის იანვრის პირველ ნახევარში საოლქო, სამხარეო პარტიული კონფერენციები და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობები.

# საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის

ხუთი წლის წინათ, 1953 წლის 7 სექტემბერს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" და მიიღო ისტორიული გადაწყვეტილებანი. ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა ბრძოლა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. საბჭოთა ადამიანების მძლავრი შემოქმედებითი შრომის შედეგად მოკლე დროში მიღწეულ იქნა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება, აღინიშნა ახალი ეტაპის დაწყება საკოლმეურნეო წყობილების განვითარებაში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, მომდევნო პლენუმებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე შემუშავებულმა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ვრცელმა პროგრამამ ყოველგვარი წინაპირობა შექმნა ამ საყოველთაო-სახალხო ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის.

საკმარისია ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში ყამირი და ნასვენი მიწების დიდი მასივების ათვისების შედეგად ბევრად გაფართოვდა მარცვლეულის მეურნეობის ბაზა, გადიდდა შაქრის ჭარხლის, ბამბის, საზეთე სელის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება.

პარტიისა და ხალხის მტკიცე ღონისძიებებით დაძლეულ იქნა მეცხოველეობის ხანგრძლივი ჩამორჩენა. სექტემბრის პლენუმიდან განვლილ პერიოდში თვალსაჩინოდ გადიდდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორისა და ცხვრის სულადობა. ხორცისა და რძის წარმოება. იქვსი წლის განმავლობაში კოლმეურნეობებში წველადობის ამაღლებისა და რძის დამზადების გადიდების ამოცანა, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმმა დასახა, შესრულდა ვადამდე, სამ წელიწადში. ჩვენს ქვეყანაში ახლა წარმატებით მიმდინარეობს ბრძოლა იმისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

საკოლმეურნეო ეკონომიკის აღმავლობის საფუძველზე სისტემატურად იზრდება კოლმეურნეობათა შემოსავალი, დიდდება მათი განუყოფელი ფონდები, მატულობს კოლმეურნეთა შრომადღის ანაზღაურება.

სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებამ. ტრაქტორებით, კომბაინებით, სატვირთო ავტომობილებით და სხვა თანამედროვე მანქანებით სოფლის მეურნეობის აღჭურვილობა თითქმის ორჯერ გადიდდა წინა ოთხ წელიწადთან შედარებით. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის დონის ამაღლებამ და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციამ, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კვალიფიციური კადრების ზრდამ რეალური წანამძღვრები შექმნა იმისათვის, რომ უახლოეს მომავალში სოფლის მეურნეობა კიდევ უფრო ამაღლდეს.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებლად პარტიის მიერ მიღებული ღონისძიებებით მნიშვნელოვნად გადიდდა სოფლის მეურნეობის ყველა ძირითადი პროდუქტის დასამზადებელი და შესასყიდი ფასები, შემცირდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ოდენობა. სოფლის მეურნეობაში დაგეგმვის ახალი წესის შემოღებამ და კოლმეურნეობებისათვის იმის უფლების მინიჭებამ, რომ ცვლილებები შეიტანონ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, განავითარა კოლმეურნეთა ინიციატივა არსებულ შესაძლებლობათა უკეთ გამოყენების საქმეში.

საქართველოს მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, თავისი მოქმედების საბრძოლო პროგრამად მიიღო პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებანი და სკკპ XX ყრილობის მიერ დასახული საპროგრამო დავალებანი. ფართოდ გაჩაღებული შემოქმედებითი შრომით ჩვენმა რესპუბლიკამ შესამჩნევად მოიტოვა უკან 1953 წლის დონე და ახლა ჩვენი სოფლის მეურნეობა აღმავლობის გზით მიდის. ამინდის ძალიან ძნელი პირობების მიუხედავად გასული სასოფლო-სამეურნეო წელი ძირითადად ცუდად არ დამთავრებულა. საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლის, ხორცის, მატყლის, კვერცხის, ხილის, ჩაისა და დაფნის ფოთლის, თამბაქოს, მზესუმზირას და სხვა კულტურების დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმები.

1953 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა ყურძნის, ხილის, თამბაქოს და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ხორცის, მატყლისა და რძის წარმოება.

უკანასკნელ წლებში გაუმჯობესდა კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა, ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კიდევ უფრო განმტკიცდნენ ორგანიზაციულად და მეურნეობრივად.

მიმდინარე 1958 წელი შარშანდელთან შედარებით უკეთეს შედეგებს გვპირდება ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში. ამის წინაპირობა მონაცემები უკვე გვაქვს. საკმარისია ითქვას, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება თვალსაჩინოდ გაიზარდა შარშანდელთან შედარებით. მაგრამ ეს კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი გადიდებისათვის საჭიროა პირუტყვი სანიმუშოდ გამოვაზამთროთ, ახლავე შევუქმნათ მტკიცე საკვები ბაზა.

თვალსაჩინოდ დიდდება ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის — ჩაის წარმოება. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ წელს სამშობლოს მისცენ გაცილებით მეტი მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. ამ პატრიოტული საქმის ინიციატორებად გამოვიდნენ რესპუბლიკაში აფხაზეთის მეჩაიეები. მათ ვალდებულება იკისრეს სეზონის დამთავრებამდე წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 3.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. აფხაზეთის მეჩაიეები ღირსეულად იბრძვიან ნაკისრი ვალდებულების გადაჭარბებით შესრულებისათვის. მათ 5 სექტემბრისათვის უკვე შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების წლიური გეგმა. სამაგალითო გამარჯვება მოიპოვეს ტყიბულელმა მეჩაიეებმა, რომლებმაც 5 სექტემბრისათვის 507 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, ნაცვლად გეგმის ზევით ვალდებულებით ნაკისრი 500 ტონისა. ასეთ სასიხარულო ცნობებს ქვეყანა ელის აჭარის ასსრ, მახარაძის, ზუგდიდის, ლანჩხუთის და სხვა რაიონების მეჩაიეებისაგანაც.

ჩვენს რესპუბლიკას ხელსაყრელი პირობები აქვს იმისათვის, რომ გაადიდოს ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოება და ამ პროდუქტებით უზრუნველყოს ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობა. თუმცა შარშანდელთან შედარებით მდგომარეობა ამ მხრივ ერთგვარად გაუმჯობესდა, მაგრამ ამოცანა მაინც საბოლოოდ არ არის გადაჭრილი. ბოსტნეულისა და კარტოფილის მწარმოებელი რაიონების მშრომელთა მოვალეობაა ფართოდ გამოიყენონ მოწინავეთა გამოცდილება და მომავლისათვის მკვეთრად გაადიდონ ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის ნათესი ფართობები, შექმნან ამ კულტურების უხვი მოსავალი.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის პარტიის მიერ დასახული ამოცანები წარმატებით რომ გადავჭრათ, ამისათვის საჭიროა უზრუნველვყოთ მიწათმოქმედების კულტურის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების უკეთ გამოყენება, ნოვატორთა გამოცდილების დანერგვა. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების გადიდება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის აღმავლობა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ღირსეულად გადაწყვეტენ ამ უაღრესად მნიშვნელოვან ამოცანებს.

# „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემია გადაეცა იაპონელ პროფესორს კაორუ იასუის

5 სექტემბერს მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემია გადაეცა ცნობილ იაპონელ საზოგადო მოღვაწეს, სრულიად იაპონიის ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საბჭოს თავმჯდომარეს პროფესორ კაორუ იასუის.

საზეიმო სხდომა გახსნა საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ვ. სკობელცინმა. მან აღნიშნა პროფესორ კაორუ იასუის თვალსაჩინო დამსახურება მშვიდობისათვის, ატომური ომის საფრთხის აღკვეთისათვის, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ს. ტიხონოვმა, აკადემიკოსმა ე. მ. ჟუკოვმა, პროფესორმა ფ. ი. კოჟევნიკოვმა, პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ი. ა. კაიროვმა, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ინესა კვიტკინამ. მათ ყველამ მხურვალედ მიულოცეს პროფესორ კაორუ იასუის მაღალი ჯილდო — ლენინური პრემია — და ახალი წარმატებები უსურვეს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლაში.

გულთბილად შეხვდნენ დამსწრენი პროფესორ კაორუ იასუის გამოსვლას, რომელმაც ილაპარაკა იაპონელი ხალხის ბრძოლაზე ატომგულის იარაღის აკრძალვისათვის, ატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ და უთუო აკრძალვისათვის.

პროფესორმა კაორუ იასუიმ გულითადი მადლობა გამოთქვა იმის გამო, რომ მას მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" ლენინური პრემია. ეს ჯილდო, განაცხადა მან, აღნიშნავს არა მარტო ჩემს პირად დამსახურებებს, არამედ წარმოადგენს აგრეთვე ჯილდოს ატომგულის იარაღის წინააღმდეგ მებრძოლი იაპონელი ხალხის მთელი მოძრაობისათვის. (საქდესი).

# მივცეთ ქვეყანას მეტი მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი

## აფხაზეთის მეჩაიეთა წარმატება

აგვისტოს პირველ ათდღიურში მიღებული შედეგები რომ განიხილეს, აფხაზეთის მეჩაიეებმა გამოიანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეესრულებინათ ჩაის ფოთლის კრეფის სახელმწიფო გეგმა. ამ მიზნით მათ იკისრეს ვალდებულება სეზონის დამთავრებამდე წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 3.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

აფხაზეთის მეჩაიეებმა საქართველოს მეჩაიეობის რაიონების კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს მიმართეს მოწოდებით მიებაძათ მათი მაგალითისათვის და ფართოდ გაეჩაღებინათ სოციალისტური შეჯიბრება ხარისხოვანი ჩაის ფოთლის საერთო მოსავლის ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის.

მათს მიმართვას ფართოდ გამოეხმაურნენ მეჩაიეობის რაიონების მშრომელები, რომლებმაც აფხაზეთის მეჩაიეთა მაგალითისამებრ ჩაის პლანტაციებში გააჩაღეს მძლავრი შემოქმედებითი შრომა.

და აი 6 სექტემბერს დეპეშამ მოგვიტანა პირველი სასიხარულო ცნობა: აფხაზეთის მეჩაიეებმა 5 სექტემბრისათვის, ე. ი. ვადაზე 40 დღით ადრე, შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება, სახელმწიფოს ჩააბარეს 19.998 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი (გეგმის 100,1 პროცენტი), 5.740 ტონით მეტი, ვიდრე 1957 წლის შესაბამის პერიოდში.

ახლა აფხაზეთის მეჩაიეები თავდადებით განაგრძობენ ბრძოლას სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ გადიდებულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, ყოველდღიურად კრეფენ და სახელმწიფოს აბარებენ ასობით ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

ეჭვი არ არის, რომ ისინი ამ ვალდებულებასაც ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე შეასრულებენ და ამის შესახებ ღირსეულად უპატაკებენ დედა-სამშობლოს.

## ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს

ტყიბული. (ტელეგრაფით). რაიონის მეჩაიეებმა, რომლებმაც ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა დიდი ხნით ადრე შეასრულეს, იკისრეს გადიდებული ვალდებულება — გეგმის გადამეტებით მოეკრიფათ და სახელმწიფოსათვის ჩაებარებინათ 500 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. ეს ვალდებულება ტყიბულელმა მეჩაიეებმა გადაჭარბებით შეასრულეს. მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 507 ტონა ჩაის ხარისხოვანი ნედლეული. ჩაის ფოთლის კრეფა წარმატებით გრძელდება.

# 2.000.000 ტონა სილოსისათვის

## ბაკურციხელთა წარმატება

გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ და კოლმეურნეებმა სწორად გაიგეს სიმინდის უდიდესი მნიშვნელობა მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის საქმეში და კარგად აითვისეს სიმინდის მოყვანის აგროტექნიკა, რის შედეგადაც ყოველწლიურად ამ კულტურის უხვ მოსავალს იღებენ.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე კოლმეურნეობამ სიმინდი დათესა 68 ჰექტარზე. კოლმეურნეებმა ნათესები საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დაამუშავეს და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. კოლმეურნეობამ 18 ჰექტარზე რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში მოჭრა სიმინდი სასილოსედ, ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 605 ცენტნერი სასილოსე მასა. ეს სარეკორდო მოსავალია.

კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა დაიწყო სიმინდის მოსავლის აღება. იმ ბრიგადამ, რომელსაც ნ. გოისაშვილი ხელმძღვანელობს, 26 აგვისტოს დაიწყო მოსავლის აღება, იგი საშუალოდ ჰექტარზე იღებს 80 ცენტნერ სიმინდს. სიმინდის ყანებში თავდადებული შრომაა გაჩაღებული.



სურათზე: ბაკურციხის კოლმეურნეობის ხაკვებმომპოვებელი ბრიგადა მუშაობს სილოსის ჩადებაზე. ფოტო მ. თელიაშვილისა.

კოლმეურნეობამ წელს გეგმით 800 ტონა სილოსი უნდა ჩადოს. უკვე ჩადებულია 1,000 ტონაზე მეტი. აქ გადაწყვეტილი აქვთ დამატებით კიდევ ჩადონ 900 ტონა სილოსი, ესე იგი ერთ საფურაქე ძროხაზე დამზადდება 18 ტონა. კოლმეურნეობა ამ ვალდებულებას წარმატებით შეასრულებს. ბაკურციხელებს ნაწვერალზე სიმინდი დათესილი აქვთ 100 ჰექტარი, რომელიც ორჯერ გათოხნეს. მოსავალს საუკეთესო პირი უჩანს. აქ ვარაუდობენ, რომ ნაწვერალზე ნათესი სიმინდიდან არა მარტო სილოსი დაამზადონ, არამედ ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერი სიმინდი მიიღონ.

მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საფუძველზე კოლმეურნეობა ყოველწლიურად ზრდის მეცხოველეობის პროდუქტიულობას. თუ შარშან ერთ საფურაქე ძროხაზე მიიღეს 1.500 ლიტრი რძე, წელს ვალდებულება იკისრეს მიიღონ 2.200 ლიტრი. უკვე მოწველეს 1.400 ლიტრ რძეზე მეტი. ცალკეულმა მწველავებმა კიდევ უფრო დიდ წარმატებას მიაღწიეს.

მტს-ების რეორგანიზაციის შემდეგ კოლმეურნეობა მაქსიმალურად იყენებს საკუთარ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, აგროტექნიკურ ვადებში ასრულებს ყველა სამუშაოს.

ზ. ბასილაშვილი.

8 სექტემბერს 18 საათზე პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის" კლუბში, ლენინის ქუჩა, 14, გაიმართება თბილისის ჟურნალისტთა კრება. კრება მიეძღვნება ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს.

სსრკ ჟურნალისტთა კავშირის საქართველოს განყოფილების საორგანიზაციო ბიურო

კომუნისტი

კვირა, 7 სექტემბერი, 1958 წ. № [illegible]




# დიადი თარიღის წინ

**ა. მელაძე,**
თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები იზეიმებენ დიდ დღესასწაულს — თბილისის 1500 წლისთავს. სასახელოა საქართველოს დედაქალაქის წარსული. თბილისი უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ მთელი ქართველი ხალხის ბრძოლის, მისი ისტორიული გამარჯვების ცოცხალი მატიანეა.

გმირული ტრადიციების და უძველესი კულტურის მქონე საქართველოს დედაქალაქი თბილისი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოწინავე სოციალისტური ინდუსტრიისა და კულტურის ქალაქად გადაიქცა. შეიცვალა სახე ძველმა თბილისმა, გაშენდა ახალი ქუჩები და მოედნები, ახალმა შენობებმა დაამშვენა იგი. თბილისი გადაიქცა რესპუბლიკის მრეწველობის ცენტრად. ახლა აქ 1.228 მსხვილი და წვრილი სამრეწველო საწარმოა, შექმნილია ბევრი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და მრავალი სხვა სამეცნიერო დაწესებულება.

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით, პარტიის თბილისის კომიტეტისა და რაიონული კომიტეტების ყოველდღიური დახმარებით საგრძნობლად გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების, ადგილობრივი მრეწველობის ხელმძღვანელობისა და მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხაზით.

საკმარისია ითქვას, რომ 1957 წელს კაპიტალდაბანდება დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით შეადგინა 165.400 ათას მანეთს, რაც 71.600 ათასი მანეთით მეტია 1956 წლის კაპიტალდაბანდებასთან შედარებით. ხოლო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში თბილისის საქალაქო მეურნეობის კაპიტალდაბანდებათა თანხამ დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით 97.700 ათასი მანეთი შეადგინა, ეს 33. 100 ათასი მანეთით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდში კაპიტალდაბანდებათა თანხასთან შედარებით. აქედან საბინაო მშენებლობაზე დაიხარჯა სახსრების 48,5 პროცენტი და საექსპლოატაციოდ გადაეცა 3.476 კვადრატული მეტრით მეტი საცხოვრებელი ფართობი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

უახლოეს 10-12 წლის მანძილზე ჩვენი ქალაქი კიდევ უფრო შეიცვლის სახეს. ამას ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელება. კიდევ უფრო გაიზრდება სამშენებლო სამუშაოთა მასშტაბები. საბინაო მშენებლობასთან ერთად გაფართოვდება სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი.

საქალაქო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი პერსპექტიული გეგმის პროექტით დიდი თანხებია გათვალისწინებული ადგილობრივი მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. 7 წლის განმავლობაში (1959-1965) ჩვენს ქალაქს შეემატება 27 ახალი საწარმო, რომელთა მესამედზე მეტი სამშენებლო მასალებისა და მოწყობილობათა გამოშვებაზე იმუშავებს. მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად აიგება მუსიკალური ინსტრუმენტების, ტყავსაგალანტერიო ნაწარმის, ავეჯეულობის, ბიწვეულის ფაბრიკები, აგრეთვე ფაიფურის ჭურჭლის ქარხანა.

დიდი მასშტაბის საბინაო სამუშაოები განხორციელდება საბურთალოზე, ზემო ნავთლუღში, ღრმა-ღელეში, ავჭალაში. უკვე მიმდინარე წელს საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხაზით საექსპლოატაციოდ გადაეცა 30,4 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, 7 ათასი კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე 1957 წელს. 1959-1965 წლებში თბილისში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 680 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, — ეს 12-ჯერ უფრო მეტი იქნება იმაზე, რაც წარსული 7 წლის განმავლობაში საქალაქო აღმასკომის ხაზით საბინაო მშენებლობის დარგში გაკეთდა.

თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იქნება მისი გაზიფიკაცია. 1959 წლის დამლევს ნაწილობრივ მწყობრში შევა გაზსადენი ყარადაღი-თბილისი. ამავე დროისათვის თბილისში აიგება შიდასაქალაქო გაზის ქსელი, რომლის გაყვანის სამუშაოებიც უკვე დაწყებულია.

თბილისი მომავალში იქნება ქალაქი უაღრესად განვითარებული სატრანსპორტო საშუალებებით. ახალი სატროლეიბუსო მიმოსვლა გაიხსნება ლისისა და ტბის ქუჩებზე, ორთაჭალიდან სოღანლუღის მხარეს ვეძისსა და საბურთალოს შემაერთებელ მაგისტრალზე. ტრამვაის ხაზების გაგრძელება დაგეგმილია ნავთლუღში, ავჭალის გზატკეცილზე, რომელიც ქალაქთან დააკავშირებს სადგურ ავჭალას და ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის მახლობლად მცხოვრებ მოსახლეობას. ტრამვაის მატარებლები ივლიან აგრეთვე მაუდ-კამვოლის კომბინატიდან სოფელ დიღმამდე დიღმის ახალ ხიდზე გავლით. ტრამვაი-ტროლეიბუსის პარკს შეემატება 43 მატარებელი და ტროლეიბუსის 180 მანქანა.

ამჟამად ქალაქში გაჩაღებულია დიდი სამშენებლო სამუშაოები თბილისის კეთილმოწყობისათვის. მრავალი მათგანი დამთავრდება თბილისის 1500 წლისთავის ზეიმისათვის. შენდება ახალი ულამაზესი მაგისტრალი, რომელიც ვაკის შეაერთებს საბურთალოსთან. მისი სიგრძე 1.800 მეტრი იქნება, ხოლო სიგანე — 50 მეტრი. დღესასწაულისათვის დამთავრდება აგრეთვე მეორე მაგისტრალის მშენებლობა, რომელიც რუსთაველის პროსპექტს ელბაქიძის დაღმართთან შეაერთებს, გაყვანილი იქნება საჰაერო-საბაგირო გზა, რომელიც რუსთაველის სახელობის მოედანს ფუნიკულიორის პლატოზე სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკთან დააკავშირებს. დამთავრდება ახალი სასტუმროს „საქართველოს" მშენებლობა მელიქიშვილის ქუჩაზე, კეთილმოწყობილი იქნება ბარნოვის, ფალიაშვილის, პავლოვის, ლისისა და მრავალი სხვა ქუჩა და მოედანი.

თბილისის 1500 წლისთავს ჩვენი ქალაქის მშრომელები ეგებებიან ახალი მიღწევებით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მტკიცედ იბრძვიან სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. თბილისის საწარმოთა კოლექტივებმა საყვარელი ქალაქის იუბილეს აღსანიშნავად ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება, ვალდებულება იკისრეს ვადამდე, დღესასწაულის დღისათვის შეასრულონ ათი თვის საწარმოო დავალება.

თბილისის 1.500 წლისთავისთვის თავიანთ დედაქალაქს მრავალ საჩუქარს უმზადებენ საქართველოს მშრომელები. ქუთაისის მშრომელები ვარაზისხევის ქუჩის სკვერში დადგამენ ლეგენდარული გმირის ვ. კიკვიძის ძეგლს. მახარაძელებმა გადაწყვიტეს პავლოვის ქუჩაზე გააშენონ სკვერი, სადაც აღმართავენ ფ. მახარაძის ძეგლს. ქალაქ ბათუმის მშრომელები დედაქალაქს მიუძღვნიან 150-ადგილიან კატერს, რომელსაც ჩაუშვებენ თბილისის ზღვაში. აჭარის ასსრ, მახარაძის, გალის, ყვარლის, ლაგოდეხის, ზუგდიდის და საქართველოს სხვა რაიონების მშრომელებმა უკვე მრავალი დეკორაციული და სხვა მწვანე ნარგავები გამოგზავნეს, რომლებმაც იუბილარი ქალაქის ქუჩები და მოედნები დაამშვენეს. აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქალაქის გამშვენიერებაში გორის, ხაშურის, გურჯაანის, თელავის, სიღნაღის, კაჭრეთის, საგარეჯოს და რესპუბლიკის სხვა რაიონების მშრომელები.

ღირსშესანიშნავი თარიღის მოახლოებასთან ერთად ჩვენს ქალაქში ახლა დიდი მზადებაა. მრავალი საინტერესო ღონისძიება განხორციელდება თბილისში ზეიმის დღის და დღესასწაულის წინადღეებში. ოქტომბერში ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში გაიმართება მიტინგები, მოეწყობა საზეიმო კრებები. მეტეხის ხიდთან საძირკველი ჩაეყრება თბილისის დამაარსებლის ვახტანგ გორგასალის ძეგლს, ხოლო კრწანისში — 300 არაგველის ობელისკს. გამოიცემა სამეცნიერო-პოპულარული შრომები, საიუბილეო კრებულები, გზამკვლევები, ბროშურები, მხატვრული ალბომები და სხვ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა უკვე გამოაცხადეს კონკურსები თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილ ყველაზე კარგ ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებებზე და მუსიკალურ ნაწარმოებებზე. განზრახულია შეიქმნას „ჰიმნი საყვარელ ქალაქს". თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის" კოლექტივი მუშაობს ახალ სრულმეტრაჟიან ფერად დოკუმენტურ ფილმზე „თბილისი".

საიუბილეო დღესასწაულის დღეებში ქალაქში მოეწყობა სამრეწველო, სამშენებლო, ქიმიური მრეწველობის გამოფენები, დაიდგმება, ფოტოვიტრინა „ძველი და ახალი თბილისი". „ბურევესტნიკის" სტადიონზე გაიმართება დიდი დღესასწაული — სპორტული ზეიმი, მოეწყობა კარნავალი „ყეენობა" და სხვა.

საძირკველი ჩაეყრება წიგნთსაცავისა და ძველი ხელნაწერების შენობას ბაგებში. განზრახულია დაწესდეს მედალი „თბილისის 1500 წლის სამახსოვროდ". ზეიმის მონაწილეთათვის გამოშვებულ იქნება საიუბილეო ნიშნები და სხვა ნაკეთობანი, რომლებზეც აღბეჭდილი იქნება თბილისის ხედები...

ზეიმის დღეებში სადღესასწაულოდ მოირთვება რუსთაველის პროსპექტი და ქალაქის სხვა ქუჩები და მოედნები. თბილისის თეატრებში გაიმართება საიუბილეო სპექტაკლები და კონცერტები.

ხუთ დღეს — 18-დან 22 ოქტომბრამდე გაგრძელდება ეს დიდი ზეიმი — საქართველოს მშრომელთა დღესასწაული. ამ დღეებში ჩვენს დედაქალაქს საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ეწვევა მრავალი ძვირფასი სტუმარი, რომლებიც გაინაწილებენ თბილისელების ამ დიდ სიხარულსა და ზეიმს. მოახლოებული დღესასწაული ხალხთა შორის ურღვევი მეგობრობის შემდგომი განმტკიცების, ჩვენი დიდი საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების კიდევ ერთი ნათელი დადასტურება იქნება.

# თბილისს ექნება ბუნებრივი გაზი

როგორც ცნობილია, მომავალი წლის ბოლოსათვის თბილისში უნდა დამთავრდეს იაფი სათბობისა და ძვირფასი ნედლეულის — ბუნებრივი გაზის მისაღები გაზგაყვანილობის მშენებლობა. ქალაქის გაზიფიკაციის სამუშაოებს აწარმოებს თბილისის გაზის ქსელის და დანადგარების მშენებლობის ტრესტი. ჩვენი დედაქალაქის მოსახლეობას აინტერესებს, თუ რა კეთდება თბილისში გაზიფიკაციის სამუშართა საწარმოებლად. ამ საკითხზე ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა „თბილგაზმშენის" ტრესტის მმართველის მოადგილეს ამხ. შ. გველესიანს. აი რა გვიამბო მან:

— ამას წინათ გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საბჭოთა კავშირის გაზის მრეწველობის შემდგომი განვითარების შესახებ", რომელშიც დასახულია ამოცანა უახლოეს 15 წელიწადში უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ცენტრები და ქალაქების მოსახლეობა იაფფასიანი სათბობით — ბუნებრივი გაზით. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ქალაქებისა და სამრეწველო საწარმოების გაზიფიკაციისათვის უახლოეს ორ წელიწადში უნდა აშენდეს გაზსადენები ყარადაღ-აქსტაფა-თბილისის მიმართულებით.

ამ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ თბილისის საწარმოები და მოსახლეობა მიიღებენ ეკონომიურად იაფ და ხელსაყრელ სათბობს. „თბილქალაქპროექტმა" უკვე დაამზადა თბილისის ქუჩებში გაზის მილგაყვანილობისათვის 50 კილომეტრიანი ქსელისა და 200-მდე საცხოვრებელი სახლის გაზიფიკაციის სამუშაოთა პროექტები, რომლების მიხედვით „თბილგაზმშენი" აწარმოებს სამუშაოებს საბურთალოს მიდამოებში და ქალაქის სხვა ადგილებში. მალე დაიწყება მილების ჩაწყობა მტკვრის სანაპიროზე. მოკლე ხანში ფართო სამუშაოები გაჩაღდება მსხვილ საწარმოებამდე გაზსადენი მილების მისაყვანად.

## საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში რძის წარმოება 1958 წლის 1 სექტემბრისათვის გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით

| | 1958 წ. | 1957 წ. | + მატება − კლება |
|---|---|---|---|
| სულ რესპუბლიკაში | 860 | 785 | +75 |
| მათ შორის რაიონების მიხედვით 1958 წლის 1 სექტემბრისათვის საშუალო წველადობა | | | |
| ბათუმის | 1601 | 1567 | +34 |
| წალკის | 1440 | 1358 | +82 |
| დმანისის | 1420 | 1279 | +141 |
| ბოგდანოვკის | 1375 | 1423 | —48 |
| საგარეჯოს | 1274 | 1139 | +135 |
| ქობულეთის | 1241 | 1153 | +58 |
| გურჯაანის | 1198 | 1096 | +102 |
| ასპინძის | 1188 | 991 | +197 |
| ახალქალაქის | 1122 | 1056 | +66 |
| მახარაძის | 1115 | 973 | +142 |
| წითელწყაროს | 1110 | 974 | +136 |
| ბოლნისის | 1100 | 902 | +198 |
| გარეჯუბნის | 1061 | 1055 | + 6 |
| მცხეთის | 1032 | 992 | +40 |
| გარდაბნის | 962 | 761 | +201 |
| სტალინირის | 915 | 859 | +56 |
| ტყიბულის | 912 | 701 | +211 |
| თეთრიწყაროს | 901 | 976 | —75 |
| სიღნაღის | 900 | 738 | +162 |
| გორის | 896 | 821 | +75 |
| მარნეულის | 893 | 820 | +75 |
| ბორჯომის | 884 | 917 | —33 |
| ჯავის | 883 | 732 | +151 |
| ზნაურის | 870 | 794 | +76 |
| თელავის | 845 | 834 | +11 |
| თერჯოლის | 843 | 725 | +118 |
| ლაგოდეხის | 838 | 692 | +146 |
| თიანეთის | 811 | 718 | +93 |
| დუშეთის | 789 | 786 | + 3 |
| წყალტუბოს | 785 | 616 | +169 |
| ქარელის | 776 | 740 | +36 |
| კაჭრეთის | 774 | 702 | +72 |
| ადიგენის | 774 | 711 | +63 |
| ახმეტის | 770 | 743 | +27 |
| ონის | 767 | 763 | + 4 |
| ახალციხის | 749 | 750 | — 1 |
| ორჯონიკიძის | 749 | 678 | +71 |
| აბაშის | 747 | 687 | +60 |
| გაგრის | 742 | 731 | +11 |
| ყვარლის | 729 | 663 | +66 |
| ქუთაისის | 718 | 585 | +133 |
| საჩხერის | 717 | 612 | +105 |
| ლენინგორის | 705 | 701 | + 4 |
| ხაშურის | 702 | 701 | + 1 |
| მესტიის | 701 | 779 | —72 |
| ზუგდიდის | 696 | 669 | +27 |
| სამტრედიის | 677 | 608 | +69 |
| ცხაკაიას | 667 | 521 | +146 |
| კასპის | 660 | 637 | +23 |
| ზესტაფონის | 660 | 533 | +127 |
| ჩოხატაურის | 649 | 643 | + 6 |
| ლანჩხუთის | 647 | 488 | +159 |
| ამბროლაურის | 642 | 552 | +90 |
| ცაგერის | 636 | 613 | +23 |
| წულუკიძის | 625 | 405 | +220 |
| სოხუმის | 603 | 554 | +49 |
| წალენჯიხის | 601 | 571 | +30 |
| ხულოს | 601 | 623 | —22 |
| გულრიფშის | 598 | 488 | +110 |
| ლენტეხის | 585 | 561 | +24 |
| ყაზბეგის | 584 | 564 | +20 |
| გალის | 574 | 492 | +82 |
| მაიაკოვსკის | 573 | 472 | +101 |
| ოჩამჩირის | 563 | 559 | + 4 |
| ხობის | 555 | 473 | +82 |
| გეგეჭკორის | 555 | 518 | +37 |
| ჩხოროწყუს | 553 | 455 | +98 |
| ჭიათურის | 544 | 517 | +27 |
| ქედის | 543 | 496 | +27 |
| ვანის | 540 | 501 | +39 |
| გუდაუთის | 501 | 429 | +72 |
| შუახევის | 486 | 475 | +11 |
| სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის | 849 | 780 | +69 |
| აჭარის ასსრ | 812 | 777 | +35 |
| აფხაზეთის ასსრ | 583 | 521 | +62 |

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

## ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება 1958 წლი 6 სექტემბრისათვის

საქართველოს სს რესპუბლიკაში 1958 წლის 6 სექტემბრისათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 96,0 პროცენტით. დამზადებულია 25,1 ათასი ტონით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე გასული წლის ამავე თარიღისათვის.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკის და საქართველოს სხვა რაიონებში გეგმის შესრულება შეადგენს პროცენტობით:

| | | |
|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ | | 100,1 |
| აჭარის ასსრ | | 92,8 |
| მახარაძის რაიონი | | 95,5 |
| ჩოხატაურის | " | 91,4 |
| ლანჩხუთის | " | 89,7 |
| სამტრედიის | " | 94,3 |
| წულუკიძის | " | 91,5 |
| ქუთაისის | " | 106,4 |
| წყალტუბოს | " | 112,3 |
| ტყიბულის | " | 129,8 |
| ცხაკაიას | " | 86,9 |
| აბაშის | " | 89,7 |
| გეგეჭკორის | " | 90,4 |
| ზუგდიდის | " | 97,8 |
| წალენჯიხის | " | 98,8 |
| ჩხოროწყუს | " | 95,8 |
| ხობის | " | 97,5 |
| თერჯოლის | " | 119,1 |
| ზესტაფონის | " | 66,7 |
| ჭიათურის | " | 165,0 |
| ვანის | " | 120,0 |

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

# ილია ჭავჭავაძის დაბადების ნამდვილი თარიღისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღემდე გამოქვეყნებულ ძირითად ლიტერატურულ წყაროებში წარმოდგენილია ილია ჭავჭავაძის დაბადების სხვადასხვა თარიღი.

მიხ. ნასიძის 1898 წელს ცალკე გამოცემულ ბიოგრაფიულ-კრიტიკულ ეტიუდში პოეტის დაბადების თარიღად 1836 წლის 27 ოქტომბერია (ძვ. სტილით).

ბროკჰაუზის და ეფრონის ლექსიკონში (იხ. ტ. XXXVIII, 1903, გვ. 359) დაბეჭდილ ნარკვევში, რომელიც ალ. ხახანაშვილის კალამს ეკუთვნის, დაბადების თარიღად 1837 წლის 27 ოქტომბერია (ძვ. სტ.). ამას საფუძვლად დაედო ილიას მიერ 1902-1903 წლებში დაწერილი ავტობიოგრაფია, რომელიც პოეტის სიკვდილის შემდეგ 1908 წელს ჟურნალ „განათლებაში" (იხ. № 1, გვ. 17-22) გამოქვეყნდა.

1841 წლის 31 იანვარს გაცემული მეტრიკული მოწმობის მიხედვით ილიას დაბადების თარიღია 1837 წლის 20 იანვარი (იხ. „საისტორიო მოამბე", 1947, 3. გვ. 163).

ფორმულარული ნამსახურობითი სიის მიხედვით, რომელიც შედგენილია 1869 წლის 10 სექტემბერს, ილია იმ დროს 30 წლისა ყოფილა (იხ. „ლიტერატურული მემკვიდრეობა", წიგნი I, 1935, გვ. 570, — მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის). ამის მიხედვით პოეტის დაბადების თარიღად 1839 წელია აღნიშნული.

ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღის შესახებ სხვადასხვა სახის ცნობებიდან ალ. ხახანაშვილმა პოეტის ავტობიოგრაფიაზე დაყრდნობით მისი დაბადების თარიღად (ადრევე მის მიერ ბროკჰაუზისა და ეფრონის ლექსიკონისათვის დაწერილ ნარკვევში) აღიარა 1837 წლის 27 ოქტომბერი (იხ. „ქართული სიტყვიერების ისტორია" XIX, 1913, გვ. 85).

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გედევანიშვილისეულ გამოცემაში (1914, გვ. VII) პოეტის ბიოგრაფმა გრ. ყიფშიძემ ალ. ხახანაშვილის მიერ აღიარებული დაბადების თარიღი — 1837 წლის 27 ოქტომბერი — მიიღო და ეს თარიღი კიდევაც დაკანონდა.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ილიას ავტობიოგრაფიას, რომელიც მას 1902-1903 წლებში დაუწერია ბროკჰაუზისა და ეფრონის ლექსიკონისათვის და რომელიც ილიას გარდაცვალების შემდეგ, 1908 წელს ჟურნალმა „განათლებამ" გამოაქვეყნა (რომლის ავტოგრაფიც უცნობია და არ არსებობს), ჩვენ დღემდე არ მოგვეპოვებოდა პოეტის დაბადების თარიღის აღმნიშვნელი სხვა რაიმე ავტოგრაფი.

ამჟამად ჩვენს ხელთ არის ჩვენ მიერ ლენინგრადში სახელმწიფო საბჭოს ფონდში (იხ. ცსსა, ფონდი 1162, აღწერა 6, საქმე № 836, ფურც. I) მიკვლეული ილიას ერთადერთი რუსული ავტოგრაფი, დაწერილი 1906 წლის 26 მაისის თარიღით.

ილია ჭავჭავაძემ სახელმწიფო საბჭოს კანცელარიას 1906 წლის 26 მაისს, თანახმად მათი მოთხოვნისა, აცნობა, რომ იგი დაბადებულია 1838 წლის 27 ოქტომბერს და იყო მეოთხე კურსის სტუდენტი პეტერბურგის უნივერსიტეტისა.

ეს არის ერთადერთი საიმედო, ზუსტი დოკუმენტი — ავტოგრაფი ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღის საბოლოოდ დადგენისათვის, რომლის ფოტოპირსაც აქვე მთლიანად ვაქვეყნებთ.

ამ ერთადერთი ავტოგრაფის მიხედვით, ქართველი ხალხის სახელოვანი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძე დაბადებულია არა 1837 წლის 27 ოქტომბერს, არამედ 1838 წლის 27 ოქტომბერს. ილიას დაბადების ამ თარიღს ადასტურებს აგრეთვე ქორწინების მოწმობა, რომელიც გამოაქვეყნა გრ. ყიფშიძემ პოეტის ბიოგრაფიაში (იხ. გედევანიშვილისეული გამოცემა, 1914, გვ. XXX). ამ მოწმობის მიხედვით (ილიასა და ოლღა გურამიშვილის 1863 წელს ქორწინებისას) ხასიძო 25 წლისა ყოფილა, რაც მისი დაბადების თარიღად 1838 წელს ადასტურებს. ეს გარემოება მხედველობიდან გამორჩა გრ. ყიფშიძეს, როდესაც მან იქვე, იმავე ბიოგრაფიაში ილიას დაბადების თარიღად 1837 წელი აღნიშნა.

**შ. ბოზალიშვილი,**
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

# ვერტმფრენი ხევსურეთის მთებში



მთებში იმ დღეს რაღაც საოცარი გუგუნი გაისმა, ფერდობებზე გაშლილი ცხვარი კინაღამ დაფრთხა, მწყემსებსაც ძალიან გაუკვირდათ უცხო ფრინველის გამოჩენა, რომელიც შორიდან უზარმაზარ ჭრიჭინას ჰგავდა.

ცოტა ხნის შემდეგ უცხო ფრინველი როშკის თავზე შეტორტმანდა, ჰაერშივე ერთხანს უძრავად გაიყინა და შემდეგ ვერტიკალურად პირდაპირ ნასაყდრალის მახლობლად, ზღვის დონიდან 2 ათას მეტრ სიმაღლეზე დაჯდა.

ეს იყო პირველი ვერტმფრენი ხევსურეთში, რომლითაც პილოტმა მ. გელაშვილმა მწყემსებთან თბილისელი ექიმების ბრიგადა ჩაიყვანა. რამდენიმე წუთში სტუმრების შესახვედრად თავი მოიყარეს მლაშელმა, საშაბუროელმა და ბაზალეთელმა მეცხვარეებმა, სოფელ როშკის მცხოვრებლებმა.

რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკის საავადმყოფოს კოლექტივმა შეფობა იკისრა დუშეთის რაიონზე. შეფებმა თავიანთ დუშელ კოლეგებს სერიოზული დახმარება გაუწიეს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებაში. უროლოგიური კაბინეტის მოსაწყობად რაიონულ საავადმყოფოს უსასყიდლოდ გადასცეს 2 ათას მანეთად ღირებული სამედიცინო აპარატურა და მოწყობილობა, დუშეთში ორი თვით მივლინებულ იქნენ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ქირურგი შ. ნემსიწვერიძე და რენტგენოლოგი მ. შავგულიძე.

შორეულ მთებში მყოფი მწყემსების სამედიცინო მომსახურებისათვის დუშეთში ჩამოვიდა ექიმთა ბრიგადა საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის გ. ქობულიას, დოცენტ ო. ჭუმბურიძის, მეთოდური კაბინეტის გამგის ქ. ჯაკობიას და ექიმ ქ. კეკელიას შემადგენლობით.

ბრიგადის წევრები ვერტმფრენით გაემგზავრნენ ხევსურეთის შორეულ სოფელ როშკში. აქ ისინი შეხვდნენ კოლმეურნე მეცხვარეებს, რომლებსაც გადასცეს პირველი დახმარების მედიკამენტები და საველე აფთიაქები.

როშკიდან ექიმები გაფრინდნენ ბარისახოს მახლობლად მდებარე კორშაში, სადაც ნახეს ჭართლელი და ციხისძირელი მწყემსები და ადგილობრივი მოსახლეობა, გაუწიეს მათ სამედიცინო დახმარება. მთებიდან დაბრუნების შემდეგ ბრიგადის წევრებმა დაათვალიერეს ბარისახოს საავადმყოფო, გადასცეს მედიკამენტები.

როგორც პილოტმა მ. გელაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, ვერტმფრენით შეიძლება ხევსურეთის ყველა სოფელში ჩასვლა და, საჭიროების შემთხვევაში, ავადმყოფების სასწრაფოდ გადაყვანა დედაქალაქში.

**ა. თოპაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

* * *

**სურათზე:** ვერტმფრენი ქალაქ დუშეთის სასპორტო მოედანზე ხევსურეთში გაფრენის წინ.

ფოტო გ. ნადარეიშვილისა.



თბილისი. ზ. ფალიაშვილის ქუჩა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# მშვიდობის ლამპარი

## ი. ფუჩიკის სიკვდილიდან 15 წლისთავის გამო

იულიუს ფუჩიკმა პანკრაცში დაწერა თავისი უკანასკნელი წიგნი „რეპორტაჟი ყულფით ყელზე“. ეს წიგნი იწერებოდა ერთი ამოსუნთქვით. რაც ფუჩიკმა ვერ მოასწრო, იმის დაწერას მილიონები დღესაც განაგრძობენ. ასე დაუბარა მან მილიონებს — ბედნიერი დასასრული ბოლომდე დაეწერათ.

ამ დიდ წიგნს, რომელიც ფუჩიკმა დაიწყო და რომლის ბედნიერ დასასრულს მილიონები წერენ, ერთი საერთო სახელი ჰქვიან — მშვიდობა.



მოვიგონოთ, როგორ იქმნებოდა ეს ძეგლი.

წარმოიდგინეთ ბუნების სტიქიებს შორის ყველაზე ულმობელი — მიწისძვრა ღამით. და მერე, გათენებისას, როგორ ეძებენ გადარჩენილნი ერთმანეთს: ცოლი ქმარს, დედა შვილს...

მიწისძვრა! — ასეთი იყო ფაშისტების მიერ თავსმოხვეული ომი. გათენება! — ასეთი იყო მშვიდობის ძალების გამარჯვება ფაშიზმზე.

1945 წლის მაისში ჰიტლერული გერმანიის დამარცხების შემდეგ ციხეებიდან და საკონცენტრაციო ბანაკებიდან გამოვიდნენ პატიმრები — წამებით მოსპობასა და მოკვლას გადარჩენილი ადამიანები. მათ შორის, ვინც თავისუფლებას ეღირსა, იყო გუსტა ფუჩიკოვა, იულიუსის ერთგული მეუღლე და შთაგონება ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, შემოქმედებაში. ჯერ კიდევ რავენსბრუკის საკონცენტრაციო ბანაკში გუსტამ პატიმარი ამხანაგებისაგან გაიგო, რომ მის ქმარს, იულიუს ფუჩიკს, „რუდე პრავოსა“ და „ტვორბას“ რედაქტორს, ბერლინში 1943 წლის 25 აგვისტოს ნაცისტურმა სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა. მაგრამ შეკითხვაზე ქმრის შემდგომი ბედის შესახებ მას ბანაკის ცივი და მაღალი კედლები დუმილით უპასუხებდნენ. განთავისუფლებულ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ცოლი შეუდგა ქმარზე ცნობების შეგროვებას. ცნობები საიმედოს ვერაფერს ეუბნებოდნენ გუსტას: გასამართლების ორი კვირის შემდეგ, 1943 წლის 8 სექტემბერს, იულიუს ფუჩიკი ბერლინში სიკვდილით დაუსჯიათ. მაგრამ ქმრის შესახებ ცნობებში, რომლებსაც ცოლი აგროვებდა, იყო ისეთი რამ, რაც სიკვდილს ამარცხებდა და ქმარს უკვდავებას ანიჭებდა: იულიუს ფუჩიკი თურმე წერდა, როცა პანკრაცში იჯდა, წერდა გულის სისხლით, სიკვდილის წინ, მაგრამ რწმენითა და მომავლის იმედით. რა მდგომარეობაში წერდა? —

...დასასრული? არა, ჯერ არ არის დასასრული. ჯერ კიდევ არა. მე ფეხზე ვდგავარ, დიახ, დიახ, ვდგავარ მარტო, სხვის დაუხმარებლად, და ჩემს წინ პირდაპირ მუქყვითელი, ყვითელი კედელია, შეშხეფებული. — რით? — მგონი სისხლით... დიახ, ეს სისხლია! მაღლა ვწევ ხელს, ვცდილობ თითი მივუსვა სისხლიან კედელს. კი, მაშ, თბილია, ჩემი სისხლია!.. ვიღაც უკანიდან თავში მირტყამს და მიბრძანებს ავწიო ხელები და ჩავმუხლო; მესამე ჩამუხვლაზე ვეცემი...

მერე ვიღაც ვედროთი წყალს ასხამს მას, ვიღაც ქალი წამალსასმევს... ის კი ანგარიშობს, რამდენი დარტყმის ატანა შეუძლია ჯანმრთელ ადამიანს.

რა მდგომარეობაში განიცდიდა და წერდა?

...ჩემი ცოლი შემოჰყავთ.

— თქვენ ამას იცნობთ?

ვყლაპავ სისხლს, რომ მან არ დაინახოს, მაგრამ ეს ამაო ცდაა, რადგან სისხლი მდის ყველგან, სისხლი წვეთავს თვით თითებიდან.

ამას გუსტაზე წერს, იმაზე, ვისზეც მერე ამხანაგებს უთვლის: მომწერეთ, გეთაყვა, რა ამბავია გუსტას თავს, და გადაეცით მას ჩემი უნაზესი სალამი. დაე მუდამ მხნედ და მტკიცედ იყოს, მარტო ნუ დარჩება თავისი დიდი სიყვარულით, რასაც მე მუდამ ვგრძნობ... მუდამ მინდოდა ის ბედნიერი ყოფილიყო, ნინდა ბედნიერი იყოს უჩემოდაც..

რა ძალაა ის, რაც აიძულებს ერთმანეთის უსაზღვროდ მოსიყვარულე ადამიანებს ასეთი სცენა გაამართვინოს? —

—... არა, არ ვიცნობ, — თქვა ცოლმა და შიში გამოხედვითაც კი არ გამოამჟღავნა. ძვირფასო! შენ გაამართლე დანაპირები — არასოდეს არ მიცნო.

რა ძალაა ეს? — არ გაიცეს საერთო საქმე, არ ჩავარდნენ ამხანაგები, არ გაიხსნას კვანძი, ფაშიზმთან ბრძოლაში რომ შეკრეს თავისუფლებისმოყვარე ადამიანებმა.

რა მდგომარეობაში წერდა? —

...ვიღაცამ ოდესღაც გამოსაძიებელთა ოთახს პეჩეკის სასახლეში კინოთეატრი უწოდა. სხედან დაკითხვის, წამებისა და სიკვდილის მომლოდინე ადამიანები მერხებზე. მათ წინ არც ცაა, არც ბუნების წარმტაცი პეიზაჟი, და რაც მთავარია, არ არის თავისუფლება. ისინი, უძრავნი, გაშეშებულნი, ცივ, თეთრ კედლებს უცქერიან გამოძახების მოლოდინში. ეს კედლები ეკრანია. მასზე საოცარი ფილმების კინოლენტებს ახვევს გონება: ფილმებისას დედაზე, ცოლზე, შვილებზე, ჩამქრალ კერაზე. სისხლზე, მამაც ამხანაგებსა და გამცემლობაზე, სიძულვილსა და სიყვარულზე. ეჭვებსა და იმედებზე, საკუთარ სიკვდილსა და ნათელ მომავალზე, ფილმს იმაზე, თუ ვის და როგორ გადაეცა უკანასკნელი ფურცელი სისხლით დაწერილი სტრიქონებით...

ფილმი იმაზე, თუ ვის და როგორ გადაეცა უკანასკნელი ფურცელი სისხლით დაწერილი სტრიქონებით! — რა ძნელი წარმოსადგენიც უნდა იყოს, წერის საშუალებას იულიუს ფუჩიკს აძლევდა ციხის ზედამხედველი კოლინსკი. მას საკანში შეჰქონდა ქაღალდი და ფანქარი, ციხიდან კი გამოჰქონდა ნაწერი ფურცლები, ის ფურცლები, რომლებიც მერე გუსტამ შეაგროვა, მოაწესრიგა, და მკითხველს შესთავაზა, ფურცლები, რომლებმაც მერე შეადგინეს სისხლით დაწერილი უკვდავი წიგნი „რეპორტაჟი ყულფით ყელზე“, რომელიც მსოფლიოში ყოველი პატიოსანი ადამიანის ნიადაგსახმარი წიგნი გახდა. წიგნი — მშვიდობისა და უკეთესი მერმისისაკენ მომწოდებელი. იულიუს ფუჩიკზე ძნელია წერა. ყოველი მისი სიტყვა აღტაცების გრძნობას იწვევს, აღტაცების და თაყვანისცემის.

იულიუს ფუჩიკი არ მომკვდარა. რა მოკლავს მას. განა ადამიანი დაბლდება იმით, რომ მას თავი მოჰკვეთეს?!

იულიუს ფუჩიკი და მისი წიგნი დღესაც მშვიდობის ლამპრად ანთია.

ვლ. თორდუა.

# სამკურნალო წყალი

ტყიბული. (საკ. კორ.). სოფელი ბუეთი, რომელიც მაღალი მთის კალთაზეა გაშენებული, მშვენიერი საავარაკო ადგილია. ამიტომ აქ ზაფხულობით მრავალი ტყიბულელი მეშახტე ატარებს თავის შვებულებას.

ბუეთში არის გოგირდოვანი წყლებიც. აქ ამ სოფლის კოლმეურნეობამააგო სამკურნალო აბანო და სასტუმრო. ამ დღეებში გაიხსნა სამკურნალო სეზონი. გოგირდოვანი წყლები საუკეთესოდ მოქმედებს რევმატიზმისა და გულის სნეულებათა წინააღმდეგ.

სამკურნალო აბანოთი, ადგილობრივ მცხოვრებთა გარდა, ფართოდ სარგებლობენ მეზობელი სოფლებიდან ჩამოსული დამსვენებლები.

ხელოვნების ქრონიკა

# თბილისის ესტრადის მსახიობები გასტროლებზე

„სტუმარია თბილისის ესტრადა“ — ასე ეწოდება თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილ ორგანყოფილებიან მუსიკალურ-ლიტერატურულ მიმოხილვას, რომლითაც საბჭოთა კავშირის ქალაქების საკონცერტო დარბაზებსა და კლუბებში წარმატებით გამოდიან თბილისის ესტრადის მსახიობები.

ამ საგასტროლო ჯგუფში, რომელიც საქართველოს საესტრადო ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის 14 წარმომადგენლისაგან შედგება, შედიან საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტალური ტრიო, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა საკავშირო ფესტივალის ლაურეატები მ. გოძიაშვილი, ქ. მაკარიძე და გ. დათუაშვილი, მოცეკვავეთა ტრიო ნ. ჩრდილელის, ვ. გიორგობიანისა და რ. ათანელაშვილის შემადგენლობით. მათს ძირითად რეპერტუარს ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები შეადგენს.

ჯგუფში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე დეკლამატორი ნ. ზედგინიძე, რომელიც კითხულობს თემატურ მოთხრობებს რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის შესახებ, მომღერალი ..., ორიგინალური ჟანრის ნომრების შემსრულებლები ალა და რობერტ ზალინაშვილები, აკორდეონისტი გ. ისაევი და სხვ.

მიმოხილვა „სტუმარია თბილისის ესტრადა“ დადგა რეჟისორმა ა. გაიმ, პროგრამა მიჰყავთ ლ. ზონსა და ა. ვენდელს, რომლებიც აგრეთვე ასრულებენ ფელეტონებს, ინტერმედიებსა და სხვ.

ქართული ესტრადის მსახიობები უკვე წარმატებით გამოვიდნენ როსტოვის, მოსკოვისა და ლენინგრადის საკონცერტო დარბაზებსა და კლუბებში.

ამჟამად ქართული ესტრადის მსახიობები წარმატებით გამოდიან კარელიაფინეთის ასსრ დედაქალაქ პეტროზავოდსკში, ხოლო შემდეგ საგასტროლოდ გაემგზავრებიან არხანგელსკსა და მურმანსკში.

დ. დმიტრიევი.

# საიუბილეო ვაზა

სამტრედია. (საკ. კორ.). სამტრედიის რაიონის მშრომელები ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისის არსებობის 1500 წლისთავის აღსანიშნავად ამზადებენ საიუბილეო ვაზას.

ვაზა, რომელიც 2 მეტრი და 25 სანტიმეტრი სიმაღლისა იქნება, მზადდება თერმოგამძლე მინისაგან და ჩუქურთმიანი მოვერცხლილი თითბერისაგან. იგი იყოფა ორ ნაწილად. ზედა ნაწილზე იქნება ჩუქურთმიანი წარწერა „საქართველოს დედაქალაქს 1500 წლის თბილისს სამტრედიის რაიონის მშრომელებისაგან“. წარწერის ქვემოთ ჩუქურთმიან თაღებში მოთავსდება თბილისის დამაარსებლის ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და ერეკლე მეფის მოვერცხლილი პორტრეტები.

ვაზის ქვედა ნაწილში მოცემული იქნება სამტრედიის რაიონის რუკა და 30 სურათი, რომლებიც ასახავენ სამტრედიის რაიონის მშრომელთა მიერ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში მიღწეულ წარმატებებს.

ვაზას ამზადებს მხატვარი ს. შილაკაძე.

# კვალიფიციურ მუშათა კადრების სამჭედლო

ბათუმის სპეციალურ სახელოსნო სასწავლებელს მალე 20 წელი შეუსრულდება. იგი კვალიფიციური მუშათა კადრების ნამდვილი სამჭედლოა. თავისი არსებობის მანძილზე სასწავლებელმა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს მისცა 2.500-მდე კვალიფიციური ზეინკალი, ხარატი, დურგალი, მღარავი, ელექტრომემონტაჟე (?) და სხვა პროფესიის მუშა. მარტო წელს სასწავლებელი დაამთავრა 128 ახალგაზრდამ, რომლებმაც მიიღეს მეოთხე და მეხუთე თანრიგის მუშის კვალიფიკაცია და სამუშაოდ წავიდნენ ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში. სად არ ნახავთ სასწავლებლის კურსდამთავრებულებს. ისინი მუშაობენ ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელ, მანქანათმშენებელ, გემთმშენებელ ქარხნებში და სხვა საწარმოებში.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისა და საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით სასწავლებელს პირველი ადგილი და საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა მიეკუთვნა. დროშის მიღებისას სასწავლებლის კოლექტივმა პირობა დადო, რომ მას კვლავ შეინარჩუნებს. მან სიტყვა საქმედ აქცია. მეორე კვარტალის დავალება სასწავლებლის კოლექტივმა 128 პროცენტით გაანაღდა და ამ მაჩვენებლებით კვლავ შეინარჩუნა გარდამავალი დროშა.

ბათუმის სპეციალური სახელოსნო სასწავლებელი მარტო ჩვენს რესპუბლიკაში როდია მოწინავე. იგი ერთ-ერთ საპატიო ადგილზეა მთელ საბჭოთა კავშირში. ამას ადასტურებს ამ დღეებში მოსკოვიდან მოსული სასიხარულო ცნობა: საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე კვარტალში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის სასწავლებელს მიეკუთვნა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

სასწავლებელს ბევრი მეგობარი და სტუმარი ჰყავს. ერთი წელია, რაც მას მეგობრული მიწერ-მოწერა და საქმიანი ურთიერთობა აქვს დამყარებული ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ქალაქ კლადნოს ადგილობრივი მეურნეობის საქარხნო სასწავლებელთან. მათ უკვე გაცვალეს პირველი საჩუქრები: სურათები, ალბომები, წიგნები. მიწერ-მოწერა გამართეს მოსწავლეებმაც. მიმდინარე წლის მაისში სასწავლებელს ესტუმრა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის შრომითი რეზერვების სამმართველოს დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა შრომითი რეზერვების სამმართველოს უფროსი ამხ. ბარაბაში.

დ. პაიჭაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *



სურათზე: სასწავლებლის კურსდამთავრებული ფრიადოსანი ი. კაიკაციშვილი, რომელიც ამჟამად სწავლობს თბილისის შრომითი რეზერვების ინდუსტრიულ ტექნიკუმში.

# ათი დღე ლონდონში

მიმდინარე წლის ივლისში დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში გაიმართა მე-7 საერთაშორისო ონკოლოგიური კონგრესი, რომელსაც ესწრებოდა 2.000-ზე მეტი დელეგატი 64 ქვეყნიდან. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის 50 წარმომადგენელმა, რომელთა შორის იყვნენ ჩვენი ქვეყნის ცნობილი ონკოლოგები: ლ. ლარიონოვი, ნ. ნ. ბლოხინი (დელეგაციის ხელმძღვანელი), ა. ი. სერებროვი, ა. ი. სავიცკი, ლ. ა. ზილბერი, ლ. მ. შაბადი, რ. ე. კავეცკი, ს. ა. ხოლდინი, ა. ი. რაკოვი და სხვ. საქართველოდან მონაწილეობა მიიღეს პროფ. დ. პ. შოთაძემ და ამ სტრიქონების ავტორმა.



ლონდონის ერთ-ერთი კუთხის ხედი გადაღებული მდინარე ტემზიდან.

კონგრესის პლენარულ და სექციურ სხდომებზე მოსმენილ იქნა მრავალი მეტად საინტერესო მოხსენება როგორც თეორიული, ისე კლინიკური ონკოლოგიის აქტუალურ საკითხებზე. ფართოდ იყო გაშუქებული კიბოს წარმოშობის ნაადრევი დიაგნოსტიკის და მკურნალობის საკითხები: სარძევე ჯირკვლის, ფილტვების, შარდ-სასქესო ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეების კლინიკა და მკურნალობა, კიბოს რადიუმთერაპია და რენტგენოთერაპია, ქიმიათერაპია, კიბოს გავრცელების გეოგრაფიული თავისებურებანი.

ექსპერიმენტული სექციების სხდომებზე განიხილეს კიბოს ვირუსული წარმოშობის, ქიმიურ კანცეროგენულ ნივთიერებათა მოქმედების მექანიზმის, შინაგანი სეკრეციის ჯირკვალთა მნიშვნელობის, თამბაქოს კანცეროგენული როლის საკითხები და სხვ.

სპეციალური სხდომა მიეძღვნა კიბოს საწინააღმდეგო ბრძოლის ორგანიზაციას. მოხსენებებით გამოვიდნენ ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიური სამსახურის უფროსის ე. პრაზდნიკოვას მოხსენება საბჭოთა კავშირში კიბოს საწინააღმდეგო ბრძოლის ორგანიზაციის შესახებ. როგორც გამოირკვა, არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს ისეთი ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი ონკოლოგიური სამსახური, როგორც საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელის პროფ. ნ. ბლოხინის წინადადებით კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება — მორიგი მე-8 საერთაშორისო ონკოლოგიური კონგრესი მოწვეულ იქნას 1962 წელს მოსკოვში.

კონგრესის მსვლელობის პერიოდში და მისი დამთავრების შემდეგ ეწყობოდა ექსკურსიები ლონდონის და მისი მახლობელი ქალაქებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად.

ლონდონში ახალ მშენებლობას იშვიათად შეხვდებით. უფრო მეტიც. მეორე მსოფლიო ომის დროს დაბომბვით დანგრეული არც ერთი შენობა დღემდე აღდგენილი არ არის. ასეთები კი ქალაქის ყველა რაიონში ბევრია.

ლონდონის ქუჩები გამწვანებული არ არის, მაგრამ ბევრგან გაშენებულია დიდი ფართობის პარკები და ბაღები. ყურადღებას იპყრობს ერთ-ერთი ცნობილი ბაღი, ე. წ. ჰაიდ-პარკი, სადაც შაბათ-კვირას იმართება მიტინგები და ქუჩის ორატორები და მქადაგებელნი გამოდიან ტრიბუნაზე.

ქალაქის ცენტრში მოთავსებულია ბუკინჰემის სასახლე — ინგლისის მეფეების ოფიციალური რეზიდენცია. ლონდონის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს აგრეთვე ვესტმინსტერის რაიონი, სადაც მოთავსებულია მთავრობის დაწესებულებანი. ყველაზე თვალსაჩინოა ფსევდოგოტიკური სტილის შენობა — ინგლისის პარლამენტი (ლორდთა და თემთა პალატები).

ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილს წარმოადგენს ვესტმინსტერის სააბატო, სადაც წარმოებს ინგლისის მეფეების კორონაცია. ამავე შენობაში ვნახეთ ინგლისის გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სამარხები. იქ დასაფლავებული არიან ცნობილი პოეტები და სახელმოხვეჭილი მეცნიერები (დიკენსი, მილტონი, კიპლინგი, ნიუტონი, დარვინი და სხვ.). ნიუტონის საფლავის ქვაზე ასეთი წარწერაა: „აქ დამარხულია ის, რაც მომაკვდავი იყო ისააკ ნიუტონში“.

ისტ-ენდის მუშათა რაიონში ცხოვრობენ ლონდონის მუშები, დოკერები და ხელოსნები. ქალაქის ეს ნაწილი ბურჟუაზიული უესტ-ენდის რაიონისაგან განსხვავებით ღარიბულად გამოიყურება, ნაკლებად მოწყობილია და მისი ზოგიერთი კვარტალი ჯურღმულების სახელწოდებით არის ცნობილი.

ლონდონის ღირსშესანიშნავი ადგილებიდან ჩვენ დავათვალიერებინეს ეროვნული გალერია, რომელიც მოთავსებულია ტრაფალგარ-სკვერის ტერიტორიაზე და აშენებულია XIX საუკუნის პირველ ნახევარში. გალერიაში გამოფენილია ევროპელ მხატვართა დიდძალი ნაწარმოებნი შუა საუკუნეებიდან XIX საუკუნემდე — რემბრანდტის, ვან-დეიკის, რუბენსის, რაფაელის, ლეონარდო და-ვინჩის, აგრეთვე ინგლისის გამოჩენილი ოსტატების კონსტებლის, რეინოლდსის, ტერნერის, რომნეისა და სხვათა სურათები.

ბრიტანეთის მუზეუმში, რომელიც დაარსებულია XVIII საუკუნეში, დავათვალიერეთ ეგვიპტიდან გამოტანილი სიძველენი: მუმიები, სფინქსები, სარკოფაგები, ბიბლიოთეკა, ძველი აღმოსავლეთის, საბერძნეთისა და რომის მატერიალური კულტურის ძეგლები. იქვე ინახება უძველესი მანუსკრიპტები და გამოჩენილი მწერლებისა და ფილოსოფოსების ავტოგრაფები მარქსის, ლენინის, დიკენსის, ვალტერ სკოტის, ბაირონის ხელნაწერები. აღმოსავლეთი ქვეყნების მანუსკრიპტებიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ქართულმა და სომხურმა ხელნაწერებმა.

ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში გვაჩვენეს ის ადგილი, სადაც მუშაობდნენ კარლ მარქსი და ვ. ი. ლენინი, რომელიც ლონდონში იმყოფებოდა 1908 წელს.

ქ. ლონდონს გარდა, საბჭოთა დელეგაციის ექსკურსია მოეწყო ვინძორში, კემბრიჯსა და ოქსფორდში.

ვინძორი მდებარეობს ლონდონის დასავლეთით 30 კილომეტრის მანძილზე, ტემზის ნაპირას.

და, ბოლოს, ექსკურსია მოეწყო ინგლისის ორ საუნივერსიტეტო ქალაქში — ოქსფორდსა და კემბრიჯში. ამ ქალაქებში უნივერსიტეტები დაარსებულია XII საუკუნეში. თვითეულ უნივერსიტეტში 21-22 კოლეჯია. კოლეჯი ფაქტიურად სხვადასხვა პროფილის დამოუკიდებელი სასწავლებელია, სადაც სტუდენტთა ცალკე ჯგუფი მიმაგრებულია ერთ-ერთ პროფესორთან, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს მათს სწავლას მთელ პერიოდში. თვითეულ კოლეჯს თავისი სახე და ისტორია აქვს. კოლეჯები დაყოფილია არა მეცნიერების ცალკე დარგების, არამედ იქ გაბატონებული ტრადიციის მიხედვით, ისინი იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ზოგი უკეთ არის მოწყობილი და სწავლა უფრო ძვირია, სხვები კი უფრო მარტივია და სწავლა შედარებით იაფია.

ლონდონში ყოფნის უკანასკნელ დღეს საბჭოთა დელეგაციის მთელმა შემადგენლობამ ინახულა კარლ მარქსის საფლავი და ძეგლი.

ა. ვეფხვაძე,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ნარკვევი



# დედისეული ხალათი

ათიოდე წლის გოგონა მარტოდმარტო ზის ოდასახლის აივანზე, მუხლებზე გადაშლილი წიგნი უდევს და ხმამაღლა კითხულობს. მერე წიგნს დახურავს და ცდილობს წაკითხული ზეპირად გაიმეოროს — ეტყობა გაკვეთილს სწავლობს.

გარეთ წვიმს და როცა გოგონა წიგნიდან თავს აიღებს, ხედავს, იქვე კიბესთან გუბეში როგორ ცეკვავენ წვიმის წვეთები და პაწია ბუშტებს აჩენენ.

ერთბაშად ქარმა წამოუბერა, წიგნის ფურცლებზე წვეთებმა გაიტკაცუნა, გოგონას შიშველ ფეხებზე და მკლავებზე ჟრიალი შეასხურა. ბავშვს შეაჟრჟოლა, წამოდგა, ძველი ხალათი მოძებნა და მხრებზე თავშალივით წამოიხურა, მერე იმავ ადგილას დაჯდა.

ხალათი დიდი იყო და თავით ფეხამდე ფარავდა. ბავშვი ჩათბა და ახლა სიამოვნებდა ეს წვიმა, ახალისებდა წიგნის ფურცლებზე უაზრ... წვიმის წვეთის გატკაცუნება, ხოლო დამახასიათებელი სურნელება, ხალათს რომ ასდიოდა, აგონებდა რაღაც მეტად ნაცნობს, ტკბილსა და მახლობელს.

კითხვა აღარ შეეძლო. იჯდა იატაკზე, ხელები მაგრად შემოეჭდო მხრებზე, თავი მუხლებზე დაედო. გაჰყურებდა ტყვიისფერ ცას და უხაროდა, რომ გარეთ წვიმდა, ცივი ქარი უბეროვდა, თვითონ კი თბილად იყო გახვეული ხალათში, რომელსაც ასე ტკბილი და საამო სუნი ასდიოდა.

გოგონას საოცრად ათრობდა და ამშვიდებდა ეს სუნი. რარიგ ესიამოვნებოდა ასე ჩაძინება! და იქნებ ჩასძინებოდა კიდეც, რომ უცებ არ გახსენებოდა: ეს ხომ დედისეული ხალათია, დედის კალთის, დედის უბის სურნელი შერჩენია ჯერაც. დედისა, რომელიც არა ჰყავს, რომლის ალერსს კარგახანია მოკლებული არიან პატარა გულია და მისი უმცროსი ძამიკო — გულივერი.

იქნებ იფიქრეთ, მოუკვდათ დედა. არა, დედა ცოცხალი ჰყავთ, თუმცა ბებია ამბობს სჯობდა მოგკვდომოდათო.

— თუ იმან გაგწირათ, თუ იმან გაგიმეტათ?! — ჩასჩიჩინებს ბებია შვილიშვილებს და ბავშვები თავიანთი პატარა ჭკუით ხვდებიან, რომ მოხუცი მართალია.

მართალია მოხუცი, მაგრამ დედა მაინც დედაა, რა ქნან, უყვართ.

— დედალვთისა გაუწყრა იმას, ის დედა არ იყოს, მას დედის გული არ ჰქონდეს! — იწყევლება დედაბერი და ბავშვებს გული ეკუმშებათ ამის გაგონებით.

დღემდე ვერ გაუგიათ ბავშვებს, როგორ მოხდა, რომ დედამ მიატოვათ. როგორ შეიძლებოდა მშობელს მოეძულებინა ისინი? უკანასკნელ წუთამდე ისევ ისე ტკბილი და ალერსიანი იყო დედა. ჩვეულებრივ იმ უკანასკნელ ღამესაც მის მკლავზე ეძინა გულიას. დილით ბებიამ რომ გამოუცხადათ ბავშვებს, დედა აღარა გყავთ, წავიდა, მისი სახელი არ ახსენოთო, გოგონა ჯერ კიდევ გრძნობდა მის უბის სითბოს, ხოლო ბიჭუნას ჯერაც ეწვოდა ლოყა დედის უკანასკნელი მხურვალე კოცნისაგან.

დედამ მიგვატოვაო, გაიგეს ბავშვებმა. ვის შეეძლო მათი დაწყნარება! თავს ევლებოდნენ მამა და ბებია, მოდიოდნენ მეზობლები და მასწავლებლები, მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეეძლო დედის მაგიერობა გაეწია პატარებისათვის და არავის შეეძლო მათი დამშვიდება. ისღა დარჩენოდათ, დამჯდარიყვნენ და მათთან ერთად ეტირათ.

და ახლა, როცა დრომ გაანელა დარდი (ჭრილობა კი, დედის მიერ მიყენებული ჭრილობა მარად შერჩება პატარა გულებს) და ბავშვები ასე თუ ისე შეეჩვივნენ უდედობას, მათ სურთ სიმართლე იცოდნენ, რატომ მიატოვა ისინი დედამ?

ნუ, ნუღარ მოისურვებთ, ამის გაგებას, ბავშვებო. თქვენ ამისათვის ჯერ ძალიან პატარები ხართ. თუმცა დიდებიც რომ იყოთ, განა თქვენთვის ყველაფერი ნათელი და გასაგები იქნებოდა? განა სოფელ ნიგვზიანში და მთელ ლანჩხუთის რაიონში, სადაც ყველამ კარგად იცის თქვენი დედის — ეთერ პატარაიას შერცხვენისა და თავლაფდასხმის ამბავი, ვინმეს შეუძლია აგიხსნათ, როგორ მოხდა ყოველივე ეს? განა ადვილი ასახსნელია, თორმეტი წლის შემდეგ ქალმა უღალატოს ოჯახს, მცირეწლოვან შვილებს და სხვას გაეკიდოს?

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ჯურუყვეთელი შოფერი ვლადიმერ ბურძგლა შეუჩნდა ეთერს (ნუ დაგავიწყდებათ — ისიც ცოლშვილიანი და ოჯახის პატრონი). დღეში ორ-სამჯერ შეუვლიდა ნიგვზიანის ჩაის ფაბრიკაში, სადაც პატარაია ცენტრალური პუნქტის გამგედ მუშაობდა.

— შენი ქმარი რომ ვიყო, ხელის გულზე შეგინახავდი, — გაეხუმრა ერთხელ ვლადიმერი ეთერს, ქალმაც კეკლუცად შეხედა თვალებში და შეჰღიმა.

ამ მრავლისმეტყველ შემოხედვას და ღიმილს შემდეგ დღეებში შოფერმა პასუხად რიგრიგობით მოაყოლა: როგორ გიხდება ეს კაბა, რა კარგი ხარ, ერთი ქალის ფასი ფეხები გაქვს, ლამაზი ხარ, ანგელოზი ხარ..

— ბოლოს და ბოლოს მეც ადამიანი ვარ და... — იმართლებდა თავს შემდეგ ეთერი ერთ თავის ნაცნობთან.

კი მაგრამ ამ სიტყვებს რომ გეუბნებოდნენ, რატომ ერთხელაც არ გაგახსენდა, რომ პირველ ყოვლისა ოჯახის დედა და მეუღლე იყავი, ადამიანო, კარგო, ლამაზო, ანგელოზო, ხელისგულზე შესანახო.

— მეც ადამიანი ვარ და შემიყვარდა...

არა, რაც გინდათ უწოდეთ თქვენს გრძნობებს და თქვენს მოქმედებას, რითაც გინდათ იმართლეთ თავი, მაგრამ ამას სიყვარულს ნუ დაარქმევთ! თქვენ საერთოდ უფლება არ გაქვთ ეს სიტყვა ახსენოთ. ამის უფლებას თქვენი შვილები არ მოგცემენ. რა სიყვარულზე ლაპარაკობთ? ხომ წარსული ამბავია, კარგად ჩაიხედეთ თქვენს სულში და სიმართლე თქვით:

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბავშვებს რას ეუბნებით? იცით როგორ გამოიცვალნენ თქვენი ბიჭუნა და გოგონა ამ რამდენიმე თვეში? ბებია არ ტყდება, მაგრამ მასწავლებლები ამბობენ, რომ ისინი საოცრად პირქუშნი და ნაღვლიანი გახდნენ. არ იფიქროთ, რომ მათ მზრუნველობა აკლდეთ, არა, მათ მარტო დედა აკლიათ თვალსა და გულში, დედის კალთის სითბო, დედის ალერსი.

მიუხედავად ამისა, ისინი დედის სახელს არ ახსენებენ.

როდესაც თქვენს ბიჭუნას მშობლებზე ვკითხეთ, მან გვიპასუხა, დედა არა მყავსო. მართალია, მას ამის წარმოთქმა ორ მსხვილ კურცხლად დაუჯდა, მაგრამ ხომ მაინც თქვა.

გახსოვთ, სკოლაში რომ მიხვედით ბავშვების სანახავად? ბიჭუნა დაგემალათ, გოგონა კი სკოლის ჭიშკართან შემოგხვდათ და დაგინახათ თუ არა, ტირილით გაიქცა.

მარტო მათმა პატარა გულებმა იციან, რად ეღირდათ დედის ხელის თავზე გადასმა. მაგრამ პატარებს ეყოთ სიმტკიცე გასცლოდნენ ოჯახის მოღალატე დედას.

ხოლო თუ ზოგჯერ მაინც წასცდებათ და დედას დაიფიცავენ, ეს შეცდომა კი არ არის, მათი ალალი გულის თქმაა: მათი პირველი საფიცარი მაინც დედაა.

აი ახლაც მარტოდ მარტო ზის თქვენი გოგონა ოდა სახლის აივანზე და დედაზე ფიქრობს, მას კი გაკვეთილები აქვს დასასწავლი.

სახლში არავინ ჩანს, ყველანი სადღაც წასულან, ალბათ ყანაში, ჩაის პლანტაციაში. ზის პატარა გულია აივანზე, მოწყენილი გაჰყურებს წვიმის წვეთების ცეკვას იქვე კიბესთან პატარა გუბეში და აჟრჟოლებს. ახლა, როცა დედა მოაგონდა, თითქოს სითბო დაკარგა ხალათმა, მაგრად იხვევს მას მხრებზე, მაგრამ მაინც ვერ თბება. საოცრად უნდა ამ წუთს დედასთან ყოფნა, მასთან ჩახუტება. გრძნობს გოგონა, მხოლოდ დედას შეუძლია ახლა მისი გათბობა.

მოძალდა ქარი, იმატა წვიმამ. გოგონას უკვე მსხვილი წვეთები ეცემა სახეზე. წამოდგა, ოთახში შევიდა, თავის ლოგინზე დაემხო და ატირდა. უხმოდ ნამავდა ცრემლებით დედისეულ ხალათს. გარეთ კი წვიმა ასველებდა აივანზე დარჩენილ გადაშლილ წიგნს.

გულივერი შემოვიდა. გოგონამ ფეხის ხმაზე იცნო ძმა. ცრემლების დამალვა გვიან იყო.

— რა გატირებს, გოგო?

— არაფერი.

ბავშვმა დედისეულ ხალათს შეხედა და უფრო ბავშვური ალღოთი იგრძნო, ვიდრე მიხვდა, თუ რატომ ტიროდა მისი დაიკო.

— რა გატირებს, გოგო, ამხელა ქალს, პატარა ხომ არა ხარ!

დას სტუქსავდა, მაგრამ მისი ცრემლები რომ დაინახა, თვითონაც ვეღარ შეიკავა თავი... მერე გულმოსულად შეიმშრალა ცრემლები და გავიდა. როცა ხელახლა შეიჭერიტა ოთახში, გოგონას უკვე ეძინა. ბიჭუნამ დედის ხალათი გადააფარა და რატომღაც თვითონაც იქვე მის სასთუმალთან დაჯდა იატაკზე...

შენ კი სადა ხარ, დედაო? ვის უნაწილებ შენი შვილების წილხვედრ სიყვარულს, სითბოს, სინაზეს? ვერა, ვერავის ვერ გაუნაწილებ ამ სიყვარულს, ვერც ვერაფერში გაცვლი. ტკივილივით გექნება გულში და ამიერიდან ამ ტკივილით უნდა იცხოვრო. ნანობ? ინანე, მაგრამ ხომ ვერავის ვერ შესჩივლებ, ვერ დააყვედრი! იცოდე, სინანულით და მწუხარებით ხელებს რომ დაიჭამო, ყოველ ღამე ათი ბალიში რომ დაასველო მდუღარე ცრემლებით, შენი შვილების წინაშე დანაშაულს მაინც ვერ გამოისყიდი.

მ. მიქაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ა. ა. გრომიკომ მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ი. კენიგი

5 სექტემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში იოჰანეს კენიგი. ი. კენიგმა ა. ა. გრომიკოს გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ნოტა, რომელიც შეიცავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალ ინიციატივას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების შესახებ მოლაპარაკების მოწყობის თაობაზე.

# გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი

**ბერლინი**, 5 სექტემბერი. (საკდესი). როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული პრესის უწყება გადმოგვცემს, 4 სექტემბერს გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც გადაწყდა მიღებულ იქნეს ახალი ღონისძიებანი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მოსამზადებლად. ამასთან დაკავშირებით მინისტრთა საბჭომ მიიღო განცხადება და გადაწყვიტა გაუგზავნოს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს ერთნაირი შინაარსის ნოტები. მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება გაეგზავნოს ნოტა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ორივე გერმანული სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარე ადამიანებს სურთ გერმანიის გაერთიანება ერთიან დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოდ და რომ ამ პრობლემის გადაჭრის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა. ამასთან დაკავშირებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკა, რომლის მიზანია ორივე გერმანული სახელმწიფოს ურთიერთგაგების მიღწევა, როგორც გაერთიანების მთავარი პირობა, უპირისპირდება დასავლეთ გერმანიის ატომური შეიარაღების პოლიტიკას, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას აქცევს ატომური ომის ევროპის კერად და ამით ხელს უშლის თვით ურთიერთგაგებასა და გაერთიანებას.

განცხადებაში გაკრიტიკებულია ფედერალური მთავრობის თვალსაზრისი, თითქოს ერთიანი გერმანიის შექმნა ოთხი დიდი სახელმწიფოს საქმეა. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ არსებულ პირობებში მშვიდობიან დემოკრატიულ საფუძველზე ერთიანობის ყველაზე რეალური გზაა ორი გერმანული სახელმწიფოს კონფედერაციის შექმნა.

თანამედროვე ვითარებაში, ნათქვამია განცხადებაში, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა მიღებულ იქნეს ღონისძიებანი გერმანელი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე ევროპაში მშვიდობიანი განვითარებისათვის. ამისათვის საჭიროა, პირველ რიგში, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის დაუყოვნებლივ მომზადება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოგვაგონებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ულბრიხტის განცხადებას გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობაზე იმის შესახებ, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია წინადადებებთან ევროპის უატომო ზონის შექმნის შესახებ, გერმანიის ორივე ნაწილის ტერიტორიიდან უცხოეთის ჯარების თანდათანობით გაყვანით, ევროპის ყველა სახელმწიფოს ტერიტორიაზე უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციით, აგრეთვე სამხედრო ბლოკებიდან ორივე გერმანული სახელმწიფოს გამოსვლით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს განცხადებაში, რომ საზავო ხელშეკრულების საკითხი გერმანიის პრობლემის ის ნაწილია, რომელიც შეადგენს წარსულ ომში მონაწილე ყველა სახელმწიფოს კომპეტენციას. იგი მოითხოვს, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა შექმნან კომისია ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან, რომელიც კონსულტაციებს დაიწყებს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების მიზნით. კომისიის ერთ-ერთი ამოცანა უნდა იყოს ურთიერთგაგების მიღწევა, ერთი მხრივ, ოთხ სახელმწიფოს შორის, და მეორე მხრივ, ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის, იმ საკითხზე, თუ რა სტადიაზე და რა ფორმით უნდა ჩაებას ორივე გერმანული სახელმწიფო მოლაპარაკებაში.

განცხადებაში ნათქვამია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა წინადადებას მისცემს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შეიქმნას აგრეთვე კომისია ორივე გერმანული სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან, რომელიც ეცდება, რომ შესაძლებლობის ფარგლებში შეიმუშაოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საერთო თვალსაზრისი საზავო ხელშეკრულების ძირითადი საკითხების შესახებ მოლაპარაკებაზე ოთხ სახელმწიფოსთან. ამ კომისიას შეიძლება დაევალოს აგრეთვე ერთიანი მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიის შექმნის პრობლემის განხილვა, რაც, როგორც ხაზგასმით აღნიშნულია განცხადებაში, მხოლოდ და მხოლოდ ორი გერმანული სახელმწიფოს საქმეა.

დასასრულ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა რწმენას გამოთქვამს, რომ მის წინადადებებს მოწონებით შეხვდება ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელი და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი და რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობები და დასავლეთ გერმანიის მთავრობა გაითვალისწინებენ ხალხთა მისწრაფებას მშვიდობისადმი.

# გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ნოტები გადაეცა ოთხი სახელმწიფოს მთავრობებს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას

**ბერლინი**, 5 სექტემბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ნოტები გადაეცა ოთხი სახელმწიფოს — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს.

რამდენადაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თხოვნით მიმართა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობას გადასცეს ნოტები ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს.

დღეს ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ი. გაეკმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ელჩები და გადასცა მათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ნოტები.

დღესვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს რწმუნებულმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ნოტა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი.

# ჰამარშელდის მოლაპარაკება კაიროში

**კაირო**, 5 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს მოხდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ჰამარშელდის პირველი შეხვედრა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერთან. საუბარში მონაწილეობა მიიღეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაჰმუდ ფავზიმ და პრეზიდენტის საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ალი საბრიმ.

კომენტარს უკეთებს რა ამ შეხვედრას, გაზეთ „ალ-აჰრამის" დიპლომატიური კორესპონდენტი წერს, რომ მოლაპარაკება „სასარგებლო და გულახდილი" იყო.

# დამთავრდა ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესი

**ბორნემუტი**, 5 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ბორნმუტში დამთავრდა ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა 90-ე კონგრესი. საბოლოო სხდომაზე კონგრესის დელეგატებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს ინგლისის მრეწველობის ძირითადი დარგების ნაციონალიზაციას.

# თბილისი ფოტოსურათებში





პირველი სურათი თბილისის გული — ლენინის მოედანია. აქ გენიალური ბელადის დიდი ლენინის მონუმენტის წინ ახლახან მოეწყო ყვავილნარების თვალწარმტაცი ხალიჩა. მის ირგვლივ, როგორც ზღვაში მდინარეები, იხე თურიან თავს დედაქალაქის უმშვენიერესი მაგისტრალები, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ახე რომ გაფართოვდნენ, გამშვენიერდნენ, ქუჩებად კი არა ხეივნებად იქცნენ.

მეორე სურათიც იგივე მოედანია, ორმოცდაათიოდე წლის წინათ გადაღებული. ცენტრში დგას ორცხენიანი „კონკა", იქვე ეტლები, მარჯვნივ ურმები, კამეჩები არხეინად მიიზლაზნებიან თბილისის მთავარი მოედნის ქვაფენილზე.

# ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო კორესპონდენტთა თათბირი

5 სექტემბერს მუშაობა დაამთავრა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო კორესპონდენტთა თათბირმა, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა თბილისის ოფიცრის სახლის საზაფხულო პარკში. თათბირზე ჩამოვიდნენ ოლქის ნაწილთა მოწინავე ადამიანები, საბჭოთა არმიის ფრიადოსნები, საოლქო გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" აქტიური სამხედრო კორესპონდენტები.

თათბირმა ცხადყო, რომ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილთა სამხედრო კორესპონდენტები დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ. ისინი აკეთებენ დიდმნიშვნელოვან საერთო-სახელმწიფოებრივ საქმეს, აქტიურად ეხმარებიან მეთაურებს, პოლიტორგანოებს, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ჯარების პირადი შემადგენლობის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების მუდმივი ზრდისათვის, საბჭოთა მეომრების მხედრული დისციპლინისა და სიფხიზლის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

სამხედრო კორესპონდენტთა საოლქო თათბირი გახსნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ პოლკოვნიკმა გ. პ. იაკიმოვმა. ოლქის ჯარების პირადი შემადგენლობის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებასა და დისციპლინის განმტკიცებაში სამხედრო კორესპონდენტთა ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, აგრეთვე სამხედრო კორესპონდენტთა აქტივთან მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე ილაპარაკა თავის მოხსენებაში საოლქო გაზეთის „ლენინსკოე ზნამიას" რედაქტორმა პოლკოვნიკმა მ. ა. გოლოვასტიკოვმა. დიდი აქტივობით ჩაიარა მოხსენების განხილვამ. თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი აზრები და მუშაობის გამოცდილება.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველმა მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა ი. გ. პავლოვსკიმ.

(საქინფორმი).

# ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი" № 8

გამოვიდა და ხელისმომწერლებს დაურიგდათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი" № 8.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: **მოწინავე** — კადრებთან მუშაობა — ყურადღების ცენტრში; **სტატიები: მ. გოგიჩაიშვილი** — კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური განათლებისათვის ზრუნვა პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი საქმეა; **მ. დუდუჩავა** — ვ. ი. ლენინი — საბჭოთა ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს პრინციპთა ფუძემდებელი; **ა. კიკვიძე** — რევოლუციური თბილისის ისტორიიდან; **ნ. ცხაკაია** — თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია იმპერიალისტური რეაქციის იარაღია; **ნ. პაიჭაძე** — კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეობათა საწარმოო ბრიგადებში სამეურნეო ანგარიშის დანერგვის შესახებ.

განყოფილებაში **საერთაშორისო თემაზე** გამოქვეყნებულია: **შ. კურდღელაშვილი** — ეროვნული რევოლუცია ერაყში და მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში.

**პარტიული ცხოვრების** განყოფილებაში მოთავსებულია: **ი. ეცადაშვილი** — ვიბრძვით ჩამორჩენილი კოლმეურნეობების მოწინავეთა დონემდე აყვანისათვის; **ვ. ჩიქოვანი** — სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის.

განყოფილებაში **წერილები და კორესპონდენციები** დაბეჭდილია: **პ. ბენდუქიძე** — აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი სტუდენტთა დაუსწრებელ სწავლებაში.

**კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის** განყოფილებაში გამოქვეყნებულია: **გ. ჟვანია** — სასარგებლო მეცნიერული ნაშრომი.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე პარტიული ქრონიკა.

# სპორტის ამბები

## სსრ კავშირის პირველობაზე

**მოსკოვი**. 5 სექტემბერი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მატჩი ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. თამაშობდნენ დედაქალაქის „დინამოსა" და „ლოკომოტივის" გუნდები. დინამოელებმა შეჯიბრება მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

**ლენინგრადი**. 5 სექტემბერი. XX ჩემპიონატის აუტსაიდერი ლენინგრადის „ადმირალტეეცი" თავის მოედანზე შეხვდა მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელთა კოლექტივს და მორიგი დამარცხება განიცადა დიდი ანგარიშით 0:5.

**კიევი**. 5 სექტემბერი. უკრაინის დედაქალაქში დიდი სპორტული ინტერესი გამოიწვია შეხვედრამ ფეხბურთში კიევის „დინამოსა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" გუნდებს შორის. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა კიევის დინამოელთა გამარჯვებით 2:1.

## ნახევარფინალური შეხვედრის გახსნა

5 აგვისტოს ბათუმში საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის ქალთა 1958 წლის საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ უძლიერესი მოჭადრაკეები.

ამავე დღეს მოეწყო წილისყრა, გუშინ გაიმართა პირველი ტური.

## „ბურევესტნიკი" — „მეტალურგი"

გუშინ თბილისში გაიმართა მატჩი ფეხბურთში „ბ" კლასის გუნდებს შორის. თამაშობდნენ თბილისის „ბურევესტნიკი" და სტალინგრადის „მეტალურგი". გაიმარჯვეს თბილისელებმა 2:1.

რედაქტორის მოადგილე
დ. სტურუა.

# მზარდი თეატრალური კოლექტივი

## ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის გასტროლების გამო

ზუგდიდის სახელმწიფო თეატრმა გასტროლებზე თბილისელ მაყურებელს უჩვენა ოთხი სპექტაკლი — მ. კიკვაძის „დიმიტრი თავდადებული", ლ. მილორავას „კერპ-ჯიუტა", სებასტიანის „უსახელო ვარსკვლავი" და შუდრაკას „თეთრი ლოტოსი".

სწორი და მისასალმებელია, რომ ამ უკანასკნელ ხანებში პრაქტიკაში დაინერგა პერიფერიული თეატრების შემოქმედების ჩვენება თბილისში. ეს ღონისძიება ერთი მხრივ ზრდის იმ თეატრის პასუხისმგებლობას, რომელიც საგასტროლოდ მიემგზავრება და მეორე მხრივ იძლევა საშუალებას სწორად შეფასდეს შემოქმედებითი კოლექტივის მუშაობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ზუგდიდის სახელმწიფო თეატრმა საგასტროლო სპექტაკლებში გამოავლინა მისწრაფება ახლის ძიებისაკენ. თბილისელი მაყურებელი დარწმუნდა, რომ ეს თეატრალური კოლექტივი ცდილობს მთელი თავისი ცოდნა და შესაძლებლობა გამოიყენოს იმისათვის, რომ შექმნას იდეური და მხატვრულად სრულყოფილი სპექტაკლები, ნაყოფიერად მოემსახუროს მაღალი გემოვნების მქონე საბჭოთა მაყურებელს. ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა, რეჟისურამ თბილისელთა ყურადღება მიიპყრეს თავიანთი დაუცხრომელი შრომით, შემოქმედებითი გატაცებით, ყველაფრიდან ჩანდა, რომ ისინი, მიუხედავად სერიოზული დაბრკოლებებისა, ცდილობენ შექმნან მართალი, დამაჯერებელი სცენიური სახეები როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე თემაზე დაწერილ პიესებში.

თეატრის შემოქმედებითი სახე, მისი მხატვრული შესაძლებლობა ნათლად გამოვლინდა თანამედროვეობის ამსახველ სპექტაკლში, ახალგაზრდა დრამატურგის ლ. მილორავას პიესაში „კერპ-ჯიუტა". ამ სპექტაკლში მაყურებელმა ნახა ჩვენი თანამედროვეობის მართალი სურათები, საბჭოთა ადამიანები, მათი ხასიათი.

პიესაში კონფლიქტი საინტერესოდ არის ჩაფიქრებული. ერთი მხრივ მოქმედებს სოფელში ყველასათვის საყვარელი, მტკიცე ნებისყოფის გლეხი — ბაბუა ამბაკო ქორქოლიანი, მეორე მხრივ სოფლის ახალგაზრდობა. ისინი ერთმანეთს დაუპირისპირა დრამატურგმა... მაგრამ ეს დაპირისპირება როდია წინააღმდეგობა ახალსა და ძველს შორის, უარყოფითსა და დადებითს შორის, მტკიცე ხასიათი, კლასობრივი მტრის სიძულვილი, რომელიც, მიუხედავად ჟამთა სვლისა, ბაბუა ამბაკოს გულში მწარე ჭრილობად რჩება, არავითარ შემთხვევაში მოხუცი კაცის კერპობა, ჯიუტობა არ არის. ეს ბუნებრივი, კანონზომიერი მოვლენაა და თუ სპექტაკლში ამბაკო ბოლოს და ბოლოს ამ ჭრილობას იშუშებს, არა იმიტომ, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარის აგიტაციამ გასჭრა, არამედ მან ახალგაზრდა ვახტანგში მომავლის რწმენა დაინახა, მის ხასიათში ახალი ქვეყნის მშენებელი აღმოაჩინა.

სპექტაკლი ასე გააზრებია რეჟისორ ა. მაღლაკელიძესაც, რაც უსათუოდ პიესის მიზანდასახულობის სწორი გაგებაა, მიუხედავად იმისა, რომ პიესას მაცდუნებელი სახელი „კერპ-ჯიუტა" ჰქვია.

პიესის სახელწოდებამ არც რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. როგავა დააბნია. მაყურებელი არც ერთ სურათში არა გრძნობს, რომ ამბაკო კერპი, ჯიუტი მოხუცია, არც მაშინ, როცა თოფს გაისვრის (ეს პიესის ყველაზე სუსტი სცენაა). ყოველთვის გჯერათ, რომ მოხუცს გულში აქვს რაღაც მძიმე ჭრილობა, რომ ეს ჭრილობა ახსენებს მას კლასობრივ მტერს, რომელმაც ხმალი შემოჰკრა არა ამბაკოს, არამედ რევოლუციას, მშრომელი ხალხის ნათელ აზრსა და მისწრაფებებს.

სასურველია ნიჭიერმა მსახიობმა ა. როგავამ მეტი ყურადღება მიაქციოს გმირის შინაგანი ბუნების გადმოცემას, ყველგან შეუნარჩუნოს მას სიდარბაისლე და წინდახედულობა, რაც ასე დამახასიათებელია საინტერესო ბიოგრაფიის მქონე მოხუცისათვის.

განსაკუთრებით სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა მსახიობმა ო. კობიძემ (ბებია პისტი). მან უნაკლოდ, დამაჯერებლად დახატა გულკეთილი, შრომისმოყვარე მოხუცი ქართველი ქალის სახე.

აი ეზოში, ჭასთან გამოჩნდება პისტი. იგი ესაუბრება ბაბუა ამბაკოს. უყურებთ ამ სურათს და გგონიათ, რომ სცენაზე კი არ ხდება იგი, არამედ რომელიმე კოლმეურნის ეზოში ხართ და უსმენთ ხანდაზმული ცოლ-ქმრის საუბარს, თავი რომ მოუმართლებიათ და იხსენებენ წარსულს.

ასევე ბუნებრივი, სადა და მხატვრულად სრულყოფილია ვ. გაბისონიას განსახიერებით ბეშტიელა.

მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა ეტეტოს როლის შემსრულებელმა ქ. ესებუამ. ეს საუკეთესოდ ჩაფიქრებული და შესრულებული სახასიათო როლი დიდხანს დაამახსოვრდება მაყურებელს.

როლების სწორი გააზრებით ყურადღება მიიპყრეს მსახიობებმა მ. ბახტაძემ (რუსუდანი), ბ. ცომაიამ (ვახტანგი), შ. მოსიამ (სოლომონი), მ. ვალიაშვილმა (მზექალა).

სპექტაკლ „კერპ-ჯიუტას" წარმატება ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვეობის ამსახველი პიესების დადგმას ჩვენი თეატრების შემოქმედებითი ძალების გამოვლინებისათვის.

სამწუხაროა, რომ ზუგდიდის თეატრმა ამჯერად თბილისში ვერ ჩამოიტანა სხვა ორიგინალური პიესა თანამედროვეობის საკითხებზე, მით უმეტეს, რომ რეპერტუარში ასეთი სპექტაკლი აქვთ.

ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის ანსამბლურობა იგრძნო მაყურებელმა აგრეთვე რუმინელი დრამატურგის სებასტიანის პიესაში „უსახელო ვარსკვლავი" და ინდოელი კლასიკოსის შუდრაკას ინდურ სანახაობაში „თეთრი ლოტოსი".

სპექტაკლი, რომლითაც თეატრმა გახსნა გასტროლები, იყო მ. კიკვაძის პიესა „დიმიტრი თავდადებული". სათაური მეტყველებს, რომ პიესა მეტად ამაღელვებელი პატრიოტული მოვლენისადმია მიძღვნილი. გმირობა, თავგანწირვა, რომელიც დიმიტრი თავდადებულმა ქართველი ხალხისათვის, მისი მომავლისათვის ჩაიდინა, ნამდვილად ძვირფასი თემაა პიესისათვის, იგი ბევრი რამით ეხმაურება თანამედროვეობას. ახალგაზრდა დრამატურგსაც ეტყობა სერიოზულად, პასუხისმგებლობით უმუშავნია. ბევრი საინტერესო და დამაჯერებელი ადგილია პიესაში. მაგრამ ამ სპექტაკლმა თუ ვერ მოხიბლა თბილისელი მაყურებელი, ეს იმიტომ, რომ სპექტაკლში მკაფიოდ, დამაჯერებლად არ არის გამოკვეთილი, ცხოვრებითა და მოქმედებით ნაჩვენები მთავარი გმირის სახე, მისი ხასიათი.

პიესის ამ ნაკლს უფრო აძლიერებს დიმიტრი თავდადებულის როლის შემსრულებლის (შ. მოსია) მისწრაფებაც ხაზი გაუსვას მელოდრამატულ მოვლენებს, კომიკურ სიტუაციებს (ალერსი ქალებთან, მეფის ზედმეტი გატაცება სიყვარულით და სხვ.). და არა მთავარს, რომ ის უბრალო მეფე კი არ არის, არამედ სახალხო გმირია.

სასურველია თეატრმა და დრამატურგმა კვლავ განაგრძონ მუშაობა ამ სპექტაკლზე, გაითვალისწინონ შენიშვნები, რომლებიც სამართლიანად გამოითქვა საგასტროლო სპექტაკლების განხილვის დროს.

საერთოდ ზუგდიდის სახელმწიფო თეატრმა გასტროლებზე გამოავლინა, რომ მზარდი შემოქმედებითი კოლექტივია, ცდილობს მრავალფეროვანი გახადოს რეპერტუარი, შექმნას საინტერესო სცენიური სახეები... მაგრამ ყოველთვის როდი აქვთ პირობები, რომ ამ სურვილს ფრთები შეასხან. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, მისი დრამატული თეატრების განყოფილება უფრო ახლოს უნდა დადგნენ პერიფერიულ თეატრებთან, ღრმად უნდა ჩასწვდნენ მათს შემოქმედებითს მუშაობას, დაეხმარონ, წაახალისონ ისინი. მაშინ წარმატებებიც მეტი იქნება.

ბ. თათარიშვილი.

## თბილისის თეატრებში

**რუსთაველის სახელობის** — ნ. ბარათაშვილი (დღისით და საღამოს). **მარჯანიშვილის სახელობის** — მოკვეთილი (დღისით), წიწამური (საღამოს). **გრიბოედოვის სახელობის** — სიხარულის ძიებაში (დღისით), მგზნებარე მეოცნებე (საღამოს), **ფილარმონიის საზაფხულო** — მარიცა (დღისით), ბალი სავოიაში (საღამოს).

## კინოთეატრებში

**ოქტომბერი, ამირანი** (საზაფხულო), **სპარტაკი. ისანი** (საზამთრო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — ქალიშვილი გიტარით, **ამირანი** (საზამთრო). **ფილარმონიის ბაღი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **კოლხიდა** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზამთრო), **ვაკის პარკი** — ამოფრქვევა, **ისანი** (საზაფხულო) — სათავგადასავლო ფილმების ჩვენება, **თბილისი, კოლხიდა** (საზამთრო), **კოლმეურნე. 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — ტორეადორი, **კომკავშირელი** — ველოსიპედისტის სიკვდილი, **კიროვის სახელობის პარკი. კომუნარების ბაღი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — ოქროს სიმფონია, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — სხვისი შვილები, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ტყუპთა ოინები, **საქართველო** (საზაფხულო) — თავხედი გოგონა, **ყაზბეგი** — როცა გრძნობა იმარჯვებს გონებაზე, **დიდუბე** (საზაფხულო) — მექსიკის სერენადა, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — იდიოტი.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექცია** აცხადებს კონკურსს განყოფილებათა გამგეების შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. წინაფეოდალური პერიოდის საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების გამგე,
2. ფეოდალური პერიოდის საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების გამგე,
3. ბურჟუაზიული და საბჭოთა პერიოდის საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების გამგე,
4. ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მეცნიერების სათანადო დარგების სპეციალისტებს, რომლებსაც აქვთ მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

განცხადებები და დებულებით დაწესებული საბუთები მიიღება მუზეუმის კანცელარიაში, ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

მისამართი: კეცხოველის ქ. № 10, ტელ. № 3-50-22.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის საფაკულტეტო ქირურგიული კლინიკის და რკინიგზის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან კათედრის პროფესორის

ილია პავლეს-ძე დავითაიას

გარდაცვალებას.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, ხამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65.

უე 06411 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.